

იმერეთის გუბერნატორი საქმიანი ვიზიტით სამტრედიაში

ნათია ნაცვლიძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის იმერეთის გუბერნატორი, ვივი ჭიჭინაძე სტუმრობდა. ის ვაუძღვა სამხარეო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომას, რომელიც იმერეთის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში პერიოდულად იმართება. სხდომას დაესწრნენ ქუთაისის მერი, იმერეთის რეგიონში შემაჯავლი ყველა მუნიციპალიტეტის გამგებლები, საკრებულოების თავმჯდომარეები და თავმჯდომარის მოადგილეები.

სხდომის დაწყებამდე იმერეთის გუბერნატორმა მოადგილეებთან და სამტრედიის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად რუსთაველის ქუჩაზე მიმდინარე მრავალსართულიანი კორპუსების ფასადებისა და აივნების სარეაბილიტაციო სამუშაოები დათვალიერა. ის გამკვლევებსაც გაესაუბრა. შემდეგ გუბერნატორი სამტრედიის

მუნიციპალიტეტის სოფელ ღანის ესტუმრა და საბავშვო ბაღის შენობის რეკონსტრუქციის სამუშაოებსაც გაეცნო. როგორც "სამტრედიის მაცნეს" ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენელმა, ირაკლი გაბელიამ განუცხადა, სარემონტო სამუშაოებს შპს "ამავი" ატარებს და პროცესი 5 სექტემბერს დასრულდება.

იმერეთის გუბერნატორი, ვივი ჭიჭინაძე: "მოვიხანხლეთ ის სამუშაოები, რაც სამტრედიის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს, ფასადების გარემონტების სამუშაოების საპროექტო ღირებულება 404 625 ლარია. სოფელ ღანის საბავშვო ბაღში მიმდინარე სამუშაოების საპროექტო ღირებულება კი 193 000 ლარია."

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ვალერიანე ფიცხვერა: "გარე ფასადების მოსაწესრიგებლად 400 000 ლარის სამუშაოები სრულდება, ღანის ბაღში 200 000 ლარამდე იხარჯება, გარდა ამისა, ჩვენს მუნიციპალიტეტში ორი მილიონ შეიდას ათასი ლარი დაიხარჯა ასფალტბეტონის საფარის დაგებაზე, ადგილობრივი ბიუჯეტთან 3 მილიონ-ნახევარი ლარი დაიხარჯ-

ება, ამას დაემატება რეგიონული განვითარების ფონდიდან ორმილიონ-ნახევარი ლარი, საკმაოდ სოლიდურ თანხას დაგზარჯავთ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, პრიორიტეტები მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე შევარჩიეთ".

სამხარეო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომის დაწყებისთანავე, შეკრებილთ იმერეთის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ, რეკვან რობაქიძემ ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობაში, ივერი ჯულაყიძე წარუდგინა. როგორც გუბერნატორმა, ისე მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ვალერიანე ფიცხვერაიმ სპორტსმენს და მის მწვრთნელს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, ვეფხია სტურუას მიულოცეს ეს გამარჯვება, სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს და ივერის უსურვეს წარმატებული ასპარეზობა ოლიმპიურ თამაშებზე, რომელიც იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში გაიმართება.

"მადლობა იმერეთის გუბერნატორს, მუნიციპალიტეტის გამგებელს, მათი ასეთი თანადგომა და ყურადღება მიმალეებს მოტივაციას და დიდი გამარჯვებ-



ების სტიმულს მადლევს. მადლობა ჩემს მწვრთნელს, ვეფხია და ლამა სტურუებს, ყველაფერს გაგაყეთებ, რომ სამომავლოდ არაერთხელ გაგახარო ჩემი ვულმემატკივარი." აღნიშნა ჩვენთან საუბარში ივერი ჯულაყიძემ.

იმერეთის გუბერნატორმა საკონსულტაციო საბჭოს სხდომის შემდეგ ასეთი კომენტარი გააკეთა: "სხდომაზე ვიმსჯელებთ იმერეთის რეგიონის მუნიციპ-

ალიტეტების 2017 წლის პირველი ნახევრის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, განვიხილეთ გარემოს დაცვით და სხვა საკითხები, ასევე დავაჯილდოვეთ ახალგაზრდა და პერსპექტიული სპორტსმენი ივერი ჯულაყიძე, რომელმაც ყველანი დიდ იმედებს ვამყარებთ და წარმატებებს ვუსურვებთ მომავალში".

ნათია ნაცვლიძე

"მე გთავაზობთ უკეთეს მომსახურებას"

"რაც კარგია, გუგლით, რაც ცუდია, ვცვლით, რაც გეგაქვია, გქმნით" – ამ სლოგანითა და დაწვევებით, რომელთა მიზანმიმართულიაა, რომ საქართველოში ნამდვილად შენების დროა, ახალი პოლიტიკურმა გაერთიანებამ "შენების მოძრაობა" რევილინგში მოძრაობა დაიწყო.

დავით უსუფაშვილი ყოფილი თანამართლებელთან და ახლანდელ მხარდამჭერებთან ერთად სამტრედიის ამომრჩეველთა ერთი კვლევის შედეგად.

ყოფილი "რესპუბლიკელი" და საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ფიქრობს, საქართველო, რომელიც მალე დამოუკიდებლობის 30 წლისთავს აღნიშნავს, არც ისე პატარაა და ქვეყანა უფრო უკეთესად უნდა გამოიყურებოდეს. დროა, ახალი აზროვნებითა და ახალი მიდევომებით საქართველო გადოსწორდეს წრიდან გამოვიყვანოთ. უსუფაშვილმა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პირველი სათიურზე გამართული შეხვედრაზე "შენების მოძრაობის" გვერდებსა და მოლოდინებზე ისაუბრა.

სამტრედიელი ელექტორატის სასინარელოსთან ერთად საამაყო აღმოჩნდა განცხადება, თბილისგარეთ მოძრაობა სამტრედიით დაიწყეთო. საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარეს არ დაუმაღავს, რომ ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობით შეშფოთებულა.

"შენების მოძრაობას", რომელმაც პირველი განცხადება 1-ლ ივნისს გააკეთა, 4 აგვისტოს თბილისში პრეზენტაცია გამართა, ამ ეტაპზე პარტიის პრეტენზია არ გააჩნია. ახალი მოძრაობის დამფუძნებელი მის პარტიად ჩამოყალიბებას მომავალი წლის განაფხულზე გეგმავს. მთავარი მიზანი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მოგებაა, თუმცა არა დამოუკიდებლად. უსუფაშვილი ხელისუფლებაში მოსვლას კოალიციური მმართველობით ფიქრობს. კახა შარტავასთან დიალოგის შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ერთმანეთთან საქმიანი ურთიერთობის აწყობით მეტს შეძლებ-

ენ. ახლად დარეგისტრირებული ორგანიზაცია სამტრედიის შეხვედრაზე დღევანდელი ხელისუფლების ნაკლები კრიტიკით გამოირჩეოდა. რასაც ვერ ვიტყვით დარბაზში მყოფ რამდენიმე პოლიტიკურად აქტიურ ადამიანზე.

ადგილობრივ არჩევნებში დავით უსუფაშვილი მწვანეს იმ მუნიციპალიტეტებს აუთენბს, სადაც ამის მზაობას მსგავსი შეხვედრებიდან დაინახავს. არ არის გამორიცხული, ერთ-ერთი სამტრედიის იყოს, რადგან სამტრედიის იმედა გოგავას სახით გამოცდილი და ძლიერი პოლიტიკოსი ჰყავს. თელის, რომ აქ ახალი გუნდის ფორმირება დაწყებულია, რომელიც მაღალი შედეგებისთვის იბრძოლებს.

დავით უსუფაშვილს არ დაუმაღავს, რომ ახალი მოძრაობა ეკონომიურად მდ-


იდარი არ არის. "შენების მოძრაობის" ლიდერს იმ დღეს არ დანახებია ერთადერთი ბუკლეტი იუბილარისთვის, მათი აქტიური მხარდამჭერისთვის, ნანა ჩომ-

ახიძისთვის საკუთარი ხელმოწერით გადაეცა.

"სამტრედიის მაცნემ" შეხვედრის ბოლოს კომენტარი სთხოვა იმედა გოგავას: "მე მიყვარს ქალაქი, სადაც დავიბა-

დე, გავიზარდე და ვცხოვრობ. მიყვარს ადამიანები, რომლებიც ამ ქალაქში ცხოვრობენ და მოღვაწეობენ. ჩვენ ყველას გვსურს, რომ ვცხოვრობდეთ გაცილებით ლამაზ, სუფთა, მოწესრიგებულ და უსაფრთხო გარემოში. ჩემო თანატოლებო, მე გთავაზობთ უკეთეს მომსახურებას, რეალურ ცვლილებებს, მასშტაბურ რეფორმებს და გარანტირებულ უსაფრთხოებას. ჩვენ შეგვიძლია, ჩვენ ვიცით, როგორ უნდა მოხდეს ქალაქის განვითარება, სამუშაო ადგილების შექმნა, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, გარემოს დაცვა და გამწვანებაზე ზრუნვა. მე ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ სამტრედიამ არა მარტო დაიბრუნოს მისი ისტორიული სტატუსი, არამედ უფრო მნიშვნელოვანი ფუნქცია შეიძინოს. სამტრედიისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, კრეატიული და ამბიციური პროექტების განხორციელება.

არაფის უნდა მივცეთ ჩვენი მოქრთამვის, დამინების უფლება. მჯერა, რომ ადამიანების სიცოცხლისუნარიანი ბუნება ვერასოდეს შეეგუება იმედაცრუებას, ნგრევას, პესიმინს, მარცხს. მჯერა, ოპტიმინს, ისევე როგორც ბრძოლას, ყოველთვის აქვს აზრი".



მადლობის ბარათი

"დიდი ხანია, უგზობლა გვაწუხებდა ნოდარ ღუმბაძის ქუჩის მცხოვრებთ, გაუსაძლისი ვითარება იყო აქ ზამთრისა და შემოდგომის წვიმების დროს. უჭირდა ქუჩაში გაგლა, როგორც ტრანსპორტს, ასევე, ფეხით მოსარულეთ, მოსწავლეებს.

სიზმარი ცხადდ გვექცა, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ, შესაბამისმა სამსახურებმა დიდი ხნის ოცნება რეალობად გვიქცია და ქუჩაში ნახევარი კილომეტრის სიგრძის შესანიშნავი ასფალტი დაიგო. მადლობა კეთილი საქმის ინიციატორებსა და ხორცმესხმელთ".

ღუმბაძის ქუჩაზე მცხოვრები მებობლების: ზ. შარაშენიძის, რ. შუბლაძის, გ. კორძაძის, თ. თვალავაძის, შ. ნიფურაძის, მ. პაპავას, ა. თ. გ. დ. ხუჭუჭებისა და სხვათა სახელით (სულ 47 ხელწერა) რედაქციაში სამადლობელი ბარათი დავაწვდომილმა პედაგოგმა შუქრი ურუშაძემ მოიტანა და დასძინა, რომ მიესალმება მუნიციპალიტეტის თავაკცათა, შესაბამისი სამსახურების ძალისხმევას, გზებისა და სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოების მოცემულ ვადებში ხარისხიანად შესრულებაში რომ გამოიხატება.

ლევან ბაბუაძე



“ესე არს ძე ჩემი საყვარელი”

6060 ნაწილაკები

ფერისცვალების დღესასწაული 12 უდიდეს დღესასწაულთა შორის არის. ამ დღეს თაბორის მთაზე იესო ქრისტემ სამი მოწაფის – პეტრეს, იაკობისა და იოანეს წინაშე



ფერი იცვალა და თავისი ღვთიური დიდებულება აჩვენა. წმინდა სახარების მიხედვით მაცხოვარს ზეციური დიდებით მოსილი მოსე და ელ-

ია წინასწარმეტყველნი გამოცხადნენ. ისინი უფალთან იმ ვნებისა და ტანჯვის შესახებ საუბრობდნენ, რაც მას იერუსალიმში ელოდათ. მოციქულებს თავს ელვარე ღრუბელი დაადგათ, საიდანაც ღვთის ხმა ამბობდა: “ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი ძე სათნო ვიყავ. მაგისი ისმინეთ”.

ხილვით შემინებული მოწაფეები პირქვე დაემხნენ, როდესაც აიხედეს, მათ წინაშე მხოლოდ იესო იდგა, მან გააფრთხილა მომავალი მოციქულები, ეს ამბავი არავისთვის ეთქვათ, ვიდრე მკვდრებით არ აღდგებოდა.

როგორც ცნობილია, იერუსალიმში ყოველწლიურად ხილული სამი სასწაული აღესრულება: აღდგომას ზეციური ცეცხლის გარდამოსვლა, ნათლისღებას, 19 ანგარს – მდინარე იორდანეს უკუქცევა და 19 აგვისტოს, ფერისცვალების დღეს – თაბორის მთაზე ღრუბლის მოსვლა.

ქრისტიანული სამყარო მაცხოვრის ფერისცვალების დღეს მუდმივად აღნიშნავს. ეკლესია-მონასტრებში წირვა-ლოცვა ტრადიციულად აღევლინება.

სადღესასწაულო წირვა-ლოცვა გაიმართა 19 აგვისტოს სამტრედ-

ის მუნიციპალიტეტში, ქალაქის ტერიტორიაზე, ეგრეთ წოდებული ნახალოვკის დასახლებაში მდებარე მაცხოვრის ფერისცვალების სახელო-



ობის ტაძარში.

დეკანოზმა ათანასემ წირვა-ლოცვის დასრულების შემდეგ იქადაგა, დალოცა მრევლი და აკურთხა ხილი.

მრევლს იქვე მოუწოდა, სასიყვითოდ იცვალონ ფერი და ტაძარში მოსულთ ღმერთის რწმენაში გაძლიერება უსურვა.

იმავ დღეს მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ეკლესიაში დეკანოზ ათანასეს მე-8 შვილი, პავლე, მოინათლა.

მიიხედავ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა!

როგორც წინასწარმეტყველები იყო, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს არ მოელოდა მოკვდავთა ზვედრი, იგი ღმერთთან ახლოს უნდა დაემკვიდრებულყო, მას უნდა მიეძინა.

წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახლში, სადაც ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ ცხოვრობდა დედა ღვთისა, მან გამოსამშვიდობებლად მოუწოდა მაცხოვრის მოწაფე-მოციქულთ.

ვევლა მაშინვე ეახლა გარდა თომასი, რომელიც იმ დროს შორეულ ქვეყნებში იყო ახალი აღთქმის საქადაგებლად.

მოციქულებმა იხილეს ნეტარი მიძინება მარადქალწულისა.

ქრისტემ ანგელოზთა მიერ ზეცად აღიტაცა მისი სული...

მოციქულებმა გეთსამანიის ბაღში განუსვენეს მარიამის სხეული.

მესამე დღეს იერუსალიმს დაბრუნდა თომა, მან მოინდომა თავყვანი ეცა სამარეში ღვთისმშობლისადმი.

გახსენს აულაძმა და ნახეს, რომ იქ მხოლოდ სამოსელი დარჩენილიყო, დედა ღვთისა ზეცად ამაღლებულიყო.

28 (ძველი სტილით 15 აგვისტო) აგვისტოს ეკლესია ღვთისმშობლის მიძინებას აღნიშნავს, შესაბამისი ღვთისმსახურება აღევლინება ამ დღეს ყველა მოქმედ ტაძარში.

ლევან ბაგრაძე



მს გზა შარისცვალების ტაძრისკენ მიდის

სამუშაოს შესასრულებლად საღამოს საათები შეარჩიეს. ცოტა აგრილებული იქნება და მოსახლეობა სამსახურებიდან დაბრუნებული. ეგრეთ წოდებულ “ნახალოვკის” დასახლებაში მცხოვრები ადამიანები ერთი სასაამოვნო ამბის შემსწრენი გახდნენ. აღმაშენებლის ქუჩაზე ფერისცვალების სახელობის ტაძრის, რომლითაც უბანი სამართლიანად ამყოფს, მიმანიშნებელი ბანერი დაიდგა. როგორც ორგანიზატორები ამბობენ, ფერისცვალების ეკლესიის საინფორმაციო დანიშნულების მქონე ბანერის 17 აგვისტოს დადგმა ორ დღეში ტაძრის სახელობის დღესასწაულს სპეციალურად მიუძღვნეს. კონსტრუქციის დამაგრებაში მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ვალერიანე ფოცხვერიამ. მან ფაქტი დადებითად შეაფასა.

ნატალია მანჯგალაძე, სამსახურის უფროსი: “სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ძველთა დაცვისა, და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური უკვე რამდენიმე წელია, რაც პროგრამის ფარგლებში ამზადებს ბანერებს.

პირველი პრეცედენტი 2016 წელს დაფიქსირდა სოფელ თხილაგანში – ორენოვანი 2 საინფორმაციო აბრა დაიდგა აკაკი შანიძის სახელობის მთის აღმნიშვნელი. იმავე წელს ტელეფონის ციხე-ნანგრევებთან განთავსდა ასევე 2 აბრა.

სამომავლოდ იგეგმება ღვთისმშობლის ხარების სახელობის ტაძართან საინფორმაციო ბანერის დადგმა”.

6060 ნაწილაკები



ზაფხულია, ცხელა, ცხელა...

ბული ასდის ქალაქს.

ივლისმა და აგვისტოს განვლილმა დღეებმა გაუსაძლისი სიცხეებით დაგვაშინებდა თავი.

ვინ ზღვაზე ისვენებს, ვინ მთაში, ზოგი კი, უბრალოდ, საკუთარ ეზოებში ჩეროებში შეყუყულან და ემალებიან მწველ მზეს.

ბოლო დროს სამტრედიის ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით ბევრი რამ გაკეთდა. ამისი დაუნახაობა არ იქნება, უმაღურობაა, მაგრამ...

მაგრამ არის საკითხები, ბოლო ორი წელია, მოუგვარებლობით რომ გვახსენებენ თავს.

მართალია, ქალაქში მარკეტები თუ სუპერმარკეტები ყოველ ფეხის ნაბიჯზეა, მაგრამ არ შეიძლება მარკეტებში მომხმარებლისათვის შეთავაზებული გამაგრებელი წყლები ჩაითვალოს სასმელი წყლის ალტერნატივად.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ქალაქში ფანტანები მეორე წელია, ხახამშრალი დგანან.

ეს მაშინ, როცა რიგ ადგილებში, ისევე ქალაქში, ფუჭად იღვრება სასმელი წყლი.

ჩვენეული კომენტარისაგან ამჯერად შეგნებულად ვიკავებთ თავს.

...


არის მეორე, მაწანწალა ძაღლების პრობლემა, რომელიც სამტრედიის გაცელებით დიდი ქალაქებისთვისაც პრობლემა იქცა.

გვსმენია, ასე თუ ისე, ვიცით, ჩვენს ოთხფეხა მეგობრებსაც რომ იცავს მისი უდიდებულესობა კანონი, მაგრამ ვიდრე ისინი გაიგებდნენ, რომ ჩვენც კანონითა ვართ დაცულნი, მათზე უნდა ვიზრუნოთ, ქალაქს, დასახლებულ პუნქტებს უნდა მოვაშოროთ ისინი.

რომ არა დაგბენის შიში, არაა სასაამოვნო ბაღებსა და სკვერებში მოუვლელი მაწანწალა ძაღლები ავად გვიმზერდნენ.

ერთი სიტყვით...

ლევან ბაგრაძე



დანაშაული ექსპედიციები, კომუნისტების დროინდელი პარაკეტი და ქარი 31მ / ნამში, ბრალდებულები არიან

თბილისი



სამხარაულის ექსპედიციის ბიუროს დასვენა, კარგა ხანს რომ ელოდა სამტრედიის და პირველ რიგში, ადმინისტრაციული სახლის ხელოვნთა დარბაზი, კარგა ხანია ცნობილია. გადახურვიდან 6 თვეში მისი ცილინდრით "მოშვლება" ქარის "დამსახურება" აღმოჩნდა, 31 მ.წამში სიჩქარით რომ დაუბერა და სახურავის მოთუთიებულ თუნუქს ისე შეუბერა, გადახურვის დღე აწვევლინა. არადა, თურმე სამტრედიის ქარის საშუალო სიჩქარის მაქსიმუმი 28 მ. წამშია განსაზღვრული, რაც 20 წელიწადში ერთხელ შეიძლება მოხდეს. მაგრამ ქარისას რას გაიგებ და... აი, ბატონო შედეგი! რაც მთავარია, მშენებელი კომპანიაა სრულიად უდანაშაულო! ყოველ შემთხვევაში სურვილიც ასეთია და დასვენაც შესაბამისი! 1977 წელს, ანუ თითქმის 40 წლის წინ გადახურულ დარბაზზე ე.წ. შიფერი მოთუთიებული თუნუქის ფურცლებით შეიცვალა ისე, რომ კონსტრუქციას არც მშენებლები შეხებოდნენ და არც პროექტი ყოფილა გათვალისწინებული. სწორედ ამ კონსტრუქციამ უშტყუნა გადახურვიდან 6 თვეში. როგორც მუნიციპალიტეტის მშენებლობის, სივრცითი მოწყობისა და ზედაშენიანობის სამსახურის ტექნიკური დოკუმენტაციის განყოფილების უფროსი,

ავთანდილ ნაცვლიშვილი ხსნის, "დატალღულ შიფერში ქარის გამო პაერი რომ შედის, ადვილად იფანტება, მოთუთიებულ თუნუქში დაგროვდა და სწორედ ამან გამოიწვია მისი გადახდა." კარგა ხანი ეგდო თითქმის დაუნიახებლად გადახდილი სახურავი თავის პარაკეტთან და ადმინისტრაციული სახლის შიდა ენოში. აგვისტოს დასაწყისში ხმაურმა "გამოაფხინლა" აქ დასაქმებულები და როგორც აღმოჩნდა, შესაბამისი სამუშაო-

ბი დაიწყო დარბაზის კვლავ გადასახურად. ტენდერში "გია და კომპანია" გამარჯვდა, რომელსაც გრივოლ პატარიძე ხელმძღვანელობს და საკუთარ თავზე 29 335 ლარად ღირებულები გადახურვის სამუშაოების ერთი თვის ვადაში დასრულება აიღო. კომპანიასთან ხელშეკრულებას 3 აგვისტოს მოეწერა ხელი და სამუშაო 2 სექტემბერს უნდა დასრულდეს. პროექტი ფოთის საპროექტო ორგანიზაციამ შეადგინა. როგორც ამბობენ, ამ კუთხით იგი ყველაზე კომპეტ-

ენტური კომპანიაა დასაგელოში. სამუშაოების მიმდინარეობას რეგულარულად აკვირდებოდნენ ინფრასტრუქტურის სამსახურის შესაბამისი განყოფილების სპეციალისტები. აცხადებენ, რომ ხარისხიანად მიმდინარეობს მუშაობის პროცესი. საკარგოდ, ისეთი და კიდევ უფრო დიდი სიძლიერის ქარი სამტრედიის 20 წელიწადში ერთხელ რომ არის მოსალოდნელი ცოტა ხნის წინ უკვე ქროდა, ჰოდა, თუ რამე ახალი არ მო-

იფიქრა სტიქიამ, წესით 20 წელი დახლეულები უნდა ვიყოთ. თუ არადა, ექსპედიციის ბიურო თავისი დასვენებით დანაშაულში ეჭვმიტანილებს "ბრალდებებსაც" წაუყენებს. სამუშაოს ჩაბარების პროცესში შესრულების ხარისხი რომ განმსაზღვრელი იქნება, ეს ყველა მსგავსი შინაარსის წერილის დასაბოლოებელი აუცილებელი წინადადება უკვე არაერთი წელია გახდა.

ცვლილებები საარჩევნო კოდექსში

ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოსა და თვითმმართველი თემის მერის არჩევნებამდე ორ თვეზე ცოტა მეტია დარჩენილი. ზუსტი თარიღი მას შემდეგ გახდება ცნობილი, რაც საქართველოს პრეზიდენტი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გამართვის შესახებ სამართლებრივი აქტით ოფიციალურად გამოსცემს განკარგულებას. 2006-2010-2014-ი წლებისგან განსხვავებით სახელდასახელები ის, რომ თუ თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს თვითმმართველ თემში 15 ერთმანდატიანი მაჟორიტარული ოლქი იყო და თითოეული ირჩევდა ერთ მაჟორიტარს, 2017 წლის არჩევნებში არჩევის შემთხვევაში 18 მაჟორიტარი გახდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს არჩეული დეპუტატი. ცვლილება შევიდა საარჩევნო კოდექსში, კერძოდ, მუხლი 140, ქვეპუნქტი პირველი. ეს უკანასკნელი გვეუბნება, თუ წინასაარჩევნო წლებში ქალაქის მაჟორიტარად ვირჩევდით 1 დეპუტატს, იქ, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 25 000-ს აღემატებოდა, კანონში ცვლილებით, ამომრჩეველს ქალაქის პირველ ერთმანდატიან მაჟორიტარულ ოლქში მაჟორიტარული წესით 4 დეპუტატის არჩევის საშუალება ეძლევა. ამდენად, თუ ამომრჩეველთა რაოდენობა 20 000-ზე მეტია, მაგრამ არ აღემატება 35 000-ს, 4 დეპუტატს აირჩევენ. რაც შეეხება უშუალოდ სამტრედიას, 54-ე ოლქის სამოქმედო ტერიტორიაზე თუ წინა წლების თვითმმართველობის არჩევნებში იყო 15 მაჟორიტარული ოლქი, 2017 წლის ოქტომბრის არჩევნებისთვის 18 ერთმანდატიანი მაჟორიტარული ოლქი იქნება, სადაც ამომრჩეველთა მიერ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 18 მაჟორიტარის არჩევა მოხდება. კანონში ცვლილება შევიდა ასევე დასახელებას, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს თვითმმართველი თემის გამგებლის ნაცვლად მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს თვითმმართველი თემის მერს აირჩევენ.

ნინო ნაწილაშვილი

ინფორმაცია საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციიდან მოხსნილ, რეგისტრაცია კალადაპარგულად გამოცხადებულ და მისაგარეთის მითითების გარეშე რეგისტრირებული მოქალაქეების

ცენტრალური საარჩევნო კომისია მიმართავს ამომრჩევლებს, რომლებიც საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციიდან არიან მოხსნილები, ასევე ამომრჩევლებს, რომელთა რეგისტრაციაც ძალადაკარგულად გამოცხადდა ოუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ და მისამართის მითითების გარეშე რეგისტრირებულ მოქალაქეებს: იმისათვის, რომ მათ 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებში მიიღონ მონაწილეობა, 14 სექტემბრის ჩათვლით უნდა გამოცხადდნენ ოუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში და გააარონ რეგისტრაცია საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ან მხოლოდ მიუთითონ ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი. რეგისტრაციის გავლისას შემოადინებული მოქალაქეები ისარგებლებენ გარკვეული შეღავათებით, მათ შორის, კონკრეტული კატეგორიის ამომრჩევლები გათავისუფლებიან მომსახურების გადასახადისაგან, რის შესახებაც დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში.

საბარაქოსი №54 საცხოვრებელი საარჩევნო კომისია

"საარჩევნო განვითარების სიდა _ 2017" სახელობით

ნინო ნაწილაშვილი

"საარჩევნო განვითარების სკოლები" ტრენინგები დასრულდა. საქართველოს რეგიონებში "საარჩევნო განვითარების სკოლები" 17 ივლისიდან ამოქმედდა. 2015 და 2016 წლებში პროექტის წარმატებით განხორციელების შემდეგ სკოლების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა და ტრენინგები 23 მუნიციპალიტეტში გაიმართა: გურჯაანში, სიღნაღში, თელავში, ახმეტაში, რუსთაველაში, გარდაბანში, მარნეულში, დუშეთში, გორში, ახალგორში (წეროვანი, დავითლის დასახლება), ბორჯომში, ახალციხეში, ამბროლაურში, საჩხერეში, ზესტაფონში, ქუთაისში, სამტრედიის, ოზურგეთში, სენაკში, ზუგდიდში, ფოთში, ბათუმსა და ქობულეთში. პროექტის მეშვეობით გაიზარდა სამოქალაქო ჩართულობა, მოხდა არჩევნების პოპულარიზაცია ახალგაზრდებში. საუბარია, მომავალში საარჩევნო განვითარების სკოლების რაოდენობამ მოიცვას მთელი საქართველო, რაც საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებს საშუალებას მისცემს, მეტ ახალგაზრდას გაუზიარონ საკუთარი პროფესიული გამოცდილება. პროექტი ევროპის საბჭოს (COE) და საარჩევნო სისტემების საერთაშორ-

ისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით განხორციელდა. სამტრედიის ტრენინგებს უძღვებოდნენ ტრენერები: ხონის ოლქის თავმჯდომარე, გიორგი გორდაძე და სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი, სოფიო დარჯანია. სასწავლო კურსი მოიცავდა 10 დღიან ტრენინგს. სრული კურსი დასრულდა 28 ივლისს და 16 მონაწილეს შესაბამისი სერთიფიკატი გადაეცა. გიორგი გორდაძე, ხონის საარჩევნო ოლქის თავმჯდომარე: "ცესკოს პროექტი "საარჩევნო განვითარების სკოლა" საარჩევნო თემბაგიით ახალგაზრდების დაინტერესებას ისახავს მიზნად. ისინი, ვინც დაინტერესდებიან ამ კურსის გავლით, მიიღებენ ცოდნას არჩევნების შესახებ, რაც დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. შემდეგ კი მათ მიეცემათ შესაძლებლობა, ეს ცოდნა გამოიყენონ პრაქტიკაში და ჩაერთონ საარჩევნო პროცესებში". სოფიო დარჯანია, ტრენერი: "საარჩევნო განვითარების სკოლების" ძირითადი "შესავალი" მიზნად ისახავს საარჩევნო პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველყოფას, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას, სამოქალაქო ჩართულობის მოტივირებას, არჩევნების

პოპულარიზაციას ახალგაზრდებში, მომავალი საარჩევნო განვითარების სკოლების რაოდენობამ მოიცვას მთელი საქართველო, რაც საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებს საშუალებას მოგვცემს, რაც შეიძლება, მეტ ახალგაზრდას გაუზიაროთ საკუთარი პროფესიული გამოცდილება". "საარჩევნო სკოლის" მონაწილეებმა მაღალი შეფასება მისცეს სწავლებას. ფრიდონ შენგელაია: "კურსი იყო უაღრესად საინტერესო და მაქსიმალურად დატვირთული თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებით. მაგლობას ვუხდით ცესკოს და სწავლების ცენტრის ასეთი საინტერესო 10 დღისათვის, ასევე ძალიან დიდ მაგლობას ვუხდით ტრენინგებს ინფორმაციის ასე საინტერესოდ მოწოდებისთვის". გაია ხაბულიანი: "ზოგადად კურსს შევაფასებ დადებითად. ამ 10 დღის განმავლობაში ძალიან დიდი ცოდნა მივიღეთ არჩევნების და არა მარტო არჩევნების შესახებ, ადამიანებთან მეტი კომუნიკაციის თაობაზე. დიდ მაგლობას ვუხდით ჩვენს უმაღლეს მასწავლებელ-მეგობრებს, სოფიოს და გიორგის, რომლებიც პროფესიონალები არიან, რასაც უთავსებენ მეგობრობას და თანასწორობას ბავშვების მიმართ. ასევე მაგლობა ტრენინგში მონაწილე ბავშვებს".





ადამიანები ჩაერთვნენ. ილიას არ ჰქონდა პარტიის შექმნის სურვილი. ეს იყო ეროვნული, დემოკრატიული მოძრაობა. იმდროინდელი საზოგადოებრივი სიტუაციიდან გამომდინარე. წესდების შექმნა გაეწეა. არქივში ინახება აკობ გოგებაშვილის წერილი, რომელშიც საყვედურობს, რა გახდა სამეგრელოდან წესდების დაწერა. პარტია დააარსეს საბრძოლველად და მისმა მეგობრებმა, მათ შორის ილიას დისშვილმა კოტე აფხაზმა, გენერალმა, ქართული და სამხედრო ინტელიგენციის წარმომადგენელმა.

“ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის” იდეებს ჩვენი ერთი არასდროს გაპოლია, თორემ, შეიძლება, სხვა მდგომარეობაში აღმოჩნდიოდა ქვეყანა. სოციალურმა პრობლემებმა აჯობა ეროვნულ ფასეულობებს. ხალხი “სოციალ-დემოკრატიული პარტიას” უფრო გაჰყვა. ახლაც ასეა.

“ეროვნულ-დემოკრატიული პარტია” დამოუკიდებელი საქართველოს თანატოლია, 100 წელი შეუსრულდა. დიდი პიროვნებები იყვნენ ამ ორგანიზაციის წევრები. სხვათა შორის, “ტრადიციონალისტთა კავშირიც” სიმონ კვიციანი შვილმა ჩამოაყალიბა ემიგრაციაში.

გიორგი ჭანტურია სერიოზულ, პერსპექტიულ ადამიანებს იყრებდა ირგვლივ. პოლიტიკურად მზარდი იყო. ვიდრე მოკვლავდნენ, რამდენიმე წლით ადრე “ადმოსავლეთ ევროპის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის გენერალური მდივანი გახდა. მაშინ ადმოსავლეთ ევროპა უკვე განთავისუფლებული იყო საბჭოთა ბლოკის სისტემიდან, ჩამორიგებული იყო მაშინდელ საბჭოთა კავშირს, რუსეთის ორბიტას. “ქრისტიან-დემოკრატიული” მიმართულებების პარტიები წამყვანი იყო მაშინდელ ევროპასა და ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში”.

სამტრედიელი ეროვნულ-დემოკრატიული შესაძლებლობებისა ხაზს უსვამს ჩვენი რესპონდენტი, ამბობს, რომ პოლიტიკური ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ერთ მუჭად იყვნენ შეკრული, სიტუაციებზე სწრაფად რეაგირებდნენ და სწორ ანალიზს აკეთებდნენ. “ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის” მთავარი კომიტეტის წევრი, ქვემო იმერეთის კომუნისტური თამაზ ნიკურაძე დამსახურებას არ უკარგავს პარტიის თითოეულ წევრსა და მხარდამჭერს. თვლის, რომ უპირაწილია მათი დასახელება, მაგრამ განუთხრო ფორმალური ამის საშუალებას ვერ იძლევა. სინანულით იხსენებს გარდაცვლილ თანამებრძოლებს და კიდევ ერთხელ მაღლიერებას გამოხატავს მათადმი.

სადაც არ უნდა წავიდნენ, არააგზავს არ გააგზავნენ

1990-იან წლებში ობიექტური ინფორმაციის ნაკლებობას რომ განიცდიდნენ და ტენდენციურ, სუბიექტურ ინფორმაციებს ღებულობდნენ, ჩვენთან საუბარში ხაზს უსვამს “ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის” ყოფილი თავმჯდომარე დავით ესაძე უსვამს. მთელი საქართველოს მსგავსად თავიდან იხილავდა განსახორციელებს მომხრე იყო. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტალღა რომ აგორდა, ბერძენი შესთავაზეს, შიმშილობის აქციებში მიეღო მონაწილეობა, გადაეკეტა რეზინა, მაგრამ ქვეყნისა და უფლის წინაშე არასწორად მიანიჭა ფელაფრის ნაჩვენებებად ქცევა. სხვათა-

რად შეიძლება, ვარაუდობს იგი. “შურიისძობით იყო ხალხი განწყობილი და ეს არ არის კარგი. ურასპროტიკობა არ მომწონს. არ შეიძლება, ვიძახოთ, ეს “ნაციონალია”, ეს “ოცნების” წევრი. ერთმანეთი თუ არ დავინდებ, სხვას დარჩება ჩვენი ქვეყანა. ჩვენი ჯიშის უყვარს უფალს. ქრისტიანობა ყოველდღე თმია შენს თავთან, შენს ბოროტებასთან, და არა მარტო ეს. სათნოება და სიყვარული გვაკვლავდა მაშინ”.

“ეროვნულ-დემოკრატიული პარტიაში” გაწევრიანებულიყო, ორგანიზაციაში გაერთიანებული ახალგაზრდების გამო მოხდა. მოეწონა “ბიჭები”, “კარგი ქართველები არიან. საუბლე ხარის კოჭებში ეტყობაო, სადაც არ უნდა წავიდნენ, არაკაცურს არ გააკეთებენ”. – ქებას არ იმუტრებს ყოფილი თანაპარტიელებისადმი.

დავით ესაძე 2003 წლამდე, მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლამდე, “ედპ”-ს თავმჯდომარე იყო. იგონებს, როგორ ენდობოდნენ და პატივს სცემდნენ. არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ხალხი ბრბოა. “პირიქით, ბრბოა და ქვეყანაში არსებულ სულისკვეთებას გამოხატავს. ადამიანებელი ტყველად არ შეგვარდება ხალხს, არც გორგასალი, თამარი და ეროკლე მეფეც. მაგრამ არ უყვარდათ როსტომ მეფე, თუქცა მის დროს ყველაფერი შენდებოდა, იქამდე ეკლესიებიც.

თუ საჭირო გახდა, ხელისუფალი მკაცრიც უნდა იყოს, მომთხოვნი და რადიკალური ნაბიჯიც უნდა გადადგას. თუ მას გული არ უძებრს სიყვარულით და თავის ქვეყანას არ უფრთხილდება, არაფერი გამოვა”. – განწყობას გვიზიარებს დავით ესაძე. მისი აზრით, საქართველოს მეფე უნდა ჰყავდეს, ბაგრატიონები და დავით წინასწარმეტყველის შთამომავლები არიან და ეს უაღრესად მნიშვნელოვანია. მეფე გვემეფებაო, დასძენს.

“2003 წელს, როცა პოლიტიკური პარტია შევარდნაძის ბლოკს შეუერთდა, ჩვენ მას გავემიჯნეთ, ირინა სარიშვილს ვუთხარი, ელვად შევარდნაძის მხარდამჭერები ვერ ვიქნებოდით. ჩვენ გვყავს დეპუტატობის კანდიდატი გრიგოლ მიქელაძე, რომელსაც კარგი კაცის სახელი აქვს და მასზე უნდა გვემუშავა, გადაწყვეტილებებს ვერ შევცვლიდით, თავს ვერ შევიტყვევნიდით”. – იგონებს ის.

ამჯერად ბატონი დავითი უპარტიო, მაგრამ ყოფილ თანაგუნდელებთან მეგობრობას აგრძელებს. სჯერა, ყოველთვის ასე იქნება.

არ არსებობს მოწილი პროვინულ-დემოკრატი

ანდრო ნიკოლაიშვილი “ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის” რიგებში ხონში 1992 წლის 11 დეკემბერს გაწევრიანდა. 1994 წლიდან იგი სამტრედიისა და ამ პარტიის აქტიური წევრი ხდება. “ედპ”-ზე არჩევანი მანაც იმ პროგრესულად მოაზროვნე ადასწესშივე ედგნენ სათავეში პარტიას. ასევე, “მაინტერესებდა 1924 წლის აჯანყება. მაშინ მცირე ინფორმაცია მქონდა ამასთან დაკავშირებით. თანდათან გასაკვირ გახდა ჩემთვის, რომ ეს აჯანყება “ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის” მიერ იქნა მოწყო-

ბილი. იგი ყოველთვის იყო დასავლური ორიენტაციის. აქცენტს, ძირითადად, საშუალო ფენის განვითარებაზე აკეთებდა. “გამდიდრდით!” – სპირიდონ კვიციანი ცნობილი ლოზუნგი იყო. სამწუხაროდ, მაშინდელმა ამომრჩეველმა ვერ გაიგო “ედპ”-ს როლი და ნაკლები რაოდენობის ხმა მიიღო. პარტიის დაქინებული მოთხოვნა იყო, ჟორდანის გამოეცხადებინა საქართველოს დამოუკიდებლობა”. – განმარტა მან.

ის მაღალ შეფასებას აძლევს გიორგი ჭანტურის მოღვაწეობას და დარწმუნებულია, რომ არა ის ტრადიციული ფაქტი, ქართული პოლიტიკური სპექტრი მისი მეშვეობით უფრო განვითარებული იქნებოდა. იწონებს იმ გუნდს, ვისთანაც საქმიანობდა. ერთადერთი პარტია იყო, რომელსაც პარტიული სტრუქტურა დოკუმენტალურად მოწესრიგებული ჰქონდაო, რასაც პარტიის ლიდერის დამსახურებად თვლის.

“რიტინგის დაცემას ვერ დავარქმევ, მაგრამ პოლიტიკურმა სიტუაციებმა ხელი ვერ შეუწყვეს პარტიას, პოპულარობა შეენარჩუნებინა”. – ასე ხსნის “ედპ”-ს პოლიტიკურ არენაზე ნაკლებ აქტიურობას მისი თავმჯდომარე, ანდრო ნიკოლაიშვილი. – “ჩვენ მართვევლ პარტიად ვითვლებოდით შემარჯველი ტიპის პარტიებს შორის. სამტრედიის ძლიერი იყო იგი და ჩვენი ჩარევის გარეშე არანაირი პოლიტიკური შედეგი არ მიიღებოდა. განსაკუთრებით კონკურენტთან არ გვიჭირდა ურთიერთობა. ამჯერად შეიცვალა მუშაობის სტილი, მაგრამ გაფუჭებულ სიტუაციას ალღო ვეღარ აუღო. 2003 წელს, როცა ჩვენი ნება-სურვილის გარეშე აღმოჩნდით სამთავრობო ბლოკში, ესეც იყო ერთ-ერთი მთხები, პარტიას დაღმასვლა დაეწყო.

ცენტრალურმა ოფისმა უკვე დაიწყო პარტიულ ორგანიზაციებთან ურთიერთობის აღდგენა, შეიძლება, სიუპრინიცი შემოვიკეთავთო. ჩვენი აქტიურობა ადგილზე ბევრს ვერაფერს შეცვლის, თუ ცენტრალურმა ოფისმა თავისი მიმართულება, თავისი ნიშა არ დაამკვიდრა. ველოდებით გადაწყვეტილებებს. მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი პარტიისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო, დედა ეკლესია გაძლიერებულიყო.

ძალიან კარგი თანაგუნდელები მყავდა და მყავს დღესაც. უბრალოდ, პოლიტიკურ ცხოვრებაში ბევრი არ ერევა აქტიურად. ვნახოთ, თუ “ედპ”-ს პოზიციები გააქტიურდა, გააქტიურდება ის ხალხიც, ვინც ამ პარტიაში იყო და იქ დარჩა კიდევ”.

ვინც ვართ, ვართ, საკმაო ადამიანური რესურსი გვყავს, საქმიანობა დავაწყობთ”. – ამბობს ბატონი ანდრო. იქვე უმატებს, რომ არ არსებობს ყოფილი ეროვნულ-დემოკრატი, ისინი ყოველთვის ასეთებად რჩებიან. მეგობრობა, საქართველოს სიყვარული, ურთიერთობის ეთიკა და კიდევ ბევრი სხვა ის თვისებებია, მისი აზრით, გუნდის წევრებს რომ აერთიანებდათ.

“არ მახსოვს, ასეთ ბრძოლებში ვიყავით და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ გვეწუწუნის, რომ ის მტყვანი იყო და ის მართალია. გადაწყვეტილებების მიღებამდე იყო მსჯელობა, საქმის აწონდაწონა და როდესაც შევკვრებოდით, გუნდურად ვეთანხმებოდით მას”. – პარტიის კულუარებში ჩაგვახედა ანდრო ნიკოლაიშვილი.

პარტიას აქვს პოლიტიკურ ასპარეზზე დაბრუნების ამბიცია. არ მეგულება სხვა პარტია, რომელსაც წმინდანი ჰყავდეს.

არ ვნახობ, ამ პარტიის წევრი რომ ვარ, დიდი გამოცდილება მივიღე. ფაქტობრივად, შუა ცეცხლში მიტრიალია. თავიდან რომ ვიწყებდი, ალბათ, იგივე ნახვჯს გადავდგამ”.

მეფა დავითის მოწივება ალბათი

“ეროვნულ-დემოკრატიული პარტია” მე-19 საუკუნიდან ძლიერდება. სათავეში უდგანან ისეთი დიდებულები ქართველები, როგორებიც იაკობ გოგებაშვილი და ექვთიმე თაყაიშვილი არიან. ერის წინამძღოლი, უდავო ლიდერი, ილია ჭავჭავაძეც ნელ-ნელა ამ ორიენტაციისა ხდება. გოგებაშვილის თხოვნით, ის იწყებს პარტიის პროგრამის წერას. ზოგ-

ადად, იმ პერიოდში მომრავლდა სხვადასხვა მიმართულების იდეები. შემარჯვენი, ეროვნული, დემოკრატიული ოპორტივია ამ ჯგუფში შეიქმნა. შეიძლება, სხვა პარტიებში ვეძებოთ საწყისები, ვთქვათ, არჩილ ჯორჯაძის იდეურ-პარტიოტულ წამოწყებასთან... აქ მოვიდა ნიკოლაიშვილი, რომელსაც ჩემ კუშირად მივიჩნევ. ჩამოთვლილი ადამიანებისაგან რამდენი წმინდანი და თუ ნიკოსაც დაუმატებენ...

გადის დრო და სპირიდონ კვიციანის დასაწყისში აფუქნებს პარტიას. ილია უკვე უკვე წინამართან გამეტებულად ჰყავთ უსირცხვილო ქართველებს. ამ პერიოდში იწყება პარტიის ძირითადი პოსტულატების ჩამოყალიბება. იდეაში, ალბათ, სანამ დედამიწის ღერძი იტრიალებს, უკეთესს ვერაფერს მოიფიქრებს საქართველოსთვის – ეროვნულს და დემოკრატიულს.

1921 წელს რუსული ანექსიის შემდეგ ემიგრირებული ბევრი ქართველი დაბრუნდა უკან. 1924 წელს აჯანყების მზადებას აღმოსავლეთში ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, ხოლო დასავლეთში ვარდენ წულუკიძე ხელმძღვანელობს. ჩემი გვარის წარმომადგენლებს, სოფელ ქუტურში მცხოვრებლებს, რომლებიც რაჭიდან სოლომონ პირველის დროს იყვნენ ჩამოსახლებულები, აქტიური მონაწილეობა აქვთ მიღებული ამ აჯანყებაში. 1924 წელს ბრუნდებიან ჩემი პაპის ბიძაშვილები, ბაბუა და ბიძები. მათ შორის კომერსანტი რაქვინ ბუაძე. ერთი სტუდენტი და ორი სამხედრო პირი – “თიორი გიორგის” წევრები. დანარჩენები ეროვნულ-დემოკრატიები იყვნენ. აჯანყების დამარცხებას სამხედრო რეპრესიები მოჰყვა და შორაპნის გადასარბენზე ვაგიონებში ჩაცხრილვს თავადაზნაურული გვარის წარმომავლების ადამიანები, ინტელიგენცია. ეს მე ვიცოდი და როდესაც ეროვნული მოძრაობა დაიწყო, გავაქტიურდი.” – გვიყვება ლევან ბუაძე. იგი ჩამოიღის მოსკოვიდან და ებძება ამ მოძრაობაში. ამბობს, რომ “პირველი სიგნალი ეროვნული მოძრაობისა იყო 23 სექტემბრის აქცია უნივერსიტეტიდან მთავრობის სახლამდე. წინამძღოლები იყვნენ: ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვია ჭანტურია, ირაკლი წერეთელი თამარ ჩხეიძესთან ერთად.

მიხეხილი, რომ საბჭოთა წყობას საფუძველი ჰქონდა შერყეული. როგორც კი გავიგე, რომ “ეროვნულ-დემოკრატიული პარტია” მეთხე დასის საფუძველზე ყალიბდებოდა საქართველოში, ჩავედი თბილისში. პარტიის ოფისში მომცეს ქრთასელი ფურცელაძის მისამართი, რომელსაც უნდა დავეკავალიანებინე, როგორ ჩამომეგადასებინა პარტიული სტრუქტურა სამტრედიისში.

მაშინ დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მასწავლებელი გახლდით. ყველაზე ბევრი მომიტივებე ჩვენი ტექნიკუმთან ჩადიოდა სამტრედიისში. ჩემზე მეტად ავტორიტეტული სარგებლობდნენ ახალგაზრდები ბადრი ზვიადი და ელიზა ჩაჩუა.

ამ პერიოდში გავიცანი ანგია კახიანი და მინდია ნაჭყვიანი. ბადრიმ, ზახამ, ელიზამ და მე ჩამოვაყალიბეთ თავისუფლების ახალგაზრდული კავშირი “თაყი”. ეს იყო კომკავშირის ალტერნატიული ორგანიზაცია. ქალაქის ცენტრში, ლენინის ძეგლის წინ, უამრავი ახალგაზრდა შეიკრიბა და მათმა უმეტესობამ მანდატი დაყარა. ერთ თვეში საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა სესილი გოგებერიძემ ორგანიზაცია გაუქმებულად გამოაცხადა.

9 აპრილის შემდეგ აქტიურობს ყველა ეროვნული ძალა. საბედნიეროდ, მიხედვად მათი შეხედულებების სხვადასხვაობისა, ყველა ერთად იდგა. იყო მწარე სინამდვილეც, როცა სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებმა ესროლეს კიდევ ერთმანეთს. ერთ-ერთი, ვისაც ესროლეს, ჩვენი პარტიის ლიდერი ბადრი ზვიადი იყო.

ამ პერიოდში გაძლიერდა პარტია. დიდი აქტიურობა გამოიჩინეს ახალმოსულმა წევრებმა თამაზ ნიკურაძემ, ვალერი ფოცხვერიამ. დავით ესაძემ, ანდრო ნიკოლაიშვილმა. თამაზსა და ვალერიის შექმლით დანარჩენების ერთად შეკვრა. ისინი რაფინირებულად, ანალიტიკურად აზროვნებდნენ. ბადრი ზვიადი იყო უშიშ-

არი და, რომ იტყვიან, მეწინავე. როცა ნუგზარ ტოროზაძემ და მინდია ნაჭყვიანი შორის ალტერნატივა დადგა, პარტიის პირველი თავმჯდომარის პოსტზე უპირატესობა მინდია ნაჭყვიანმა მოიპოვა. შემდეგ თავმჯდომარეები იყვნენ: ბადრი ზვიადი, ვია ლუნდუა, ვალერი ფოცხვერია, დავით ესაძე. ზენიტში პარტია ვალერი ფოცხვერიას თავმჯდომარეობისას იყო.

“ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის” მთავარი კომიტეტის წევრად თამაზ ნიკურაძე აირჩიეს. დიდ ანგარიშს გვიწვედნენ სამტრედიელებს, რადგან უშეცდომოდ ვერაგირებდით მიმდინარე მოვლენებზე. გუნდურად ვმოქმედებდით.” – გვიყვება “ედპ”-ს ჩამოყალიბების ისტორიის შესახებ ბატონი ლევანი.

მან “სამტრედიის მაცნესთან” იმ მიზეზებზეც ისაუბრა, თუ რატომ მოუხდა პარტიის დატოვება, თანაც ორჯერ.

ჩვენითვის, ელექციებისთვის, მთავარი იყო მართალი სტრეჯის თქმა საზოგადოებისთვის, დაპირისპირება დრომოჭმულ კომუნისტურ შეხედულებებთან. შეხვედრები გვექონდა არა მარტო ქალაქის ტერიტორიაზე, არამედ მთის სოფლებშიც. მიმდინარეობდა აგიტაცია-პროპაგანდა. 1990 წლის სექტემბერში კონგრესის არჩევნები ტარდებოდა. მაშინ სამტრედიისში ფუნქციონირებდა ხელმძღვანელი ნოდარ ძნელაძე გახლდათ, რომელიც შინაგანად ეთანხმებოდა ჩვენს შეხედულებებს, მაგრამ ამის გამტარების საშუალება არ ეძლეოდა. მან პოლიკოვნი ნიკულის, რომელიც კომპტნარის სამხედრო ბაზის ხელმძღვანელი იყო, პირადად უთხრა, რომ აღმასკომის თანამშრომლებს ვერტმფრენი სჭირდებოდათ და დაგეგმარებოდა. პროკლამაციების გავრცელებას ვაპირებდით, რომელიც დავით მანდარაძემ ქუთაისის სტამბაში 300 000 ათასი ცალი დაბეჭდა. სამტრედიის პატარა სტამბაში კი ღამის საათებში თავისი ხელით (რადგან არ უნდოდა გამტარება და სამიშიც იყო), დირექტორმა გივი ნიკურაძემ 60 000 ცალი დაბეჭდა. პროკლამაციებში მოწოდება იყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და კონგრესის არჩევნებში აქტიურობისკენ მოუწოდებდით ხალხს”. თუქცა, კონგრესი არ შედგა. ხოლო ოფიციალურ არჩევნებში “მრავალმა მაგიდამ” გაიმარჯვა”.

ბატონ ლევან ბუაძეს მართებულად არ მიაჩნდა ხალხის არჩეული პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ძალადობრივი გზით გადაყენება. სამწუხაროდ, ამის მოჰყვა დეკემბრის მოვლენები თბილისში. “საკუთარი სარდალი და პრემიერი დაუპირისპირდა თავის პრეზიდენტს და დაიწყო ის, რაც დაიწყო. ძმა ძმას გადაეყვიდა და სისხლი დაიდგარა. ეს დიდი ტრაგედიაა, შავი ლაქაა, ბაზალეთზე უფრო მძიმე. გარდა იმისა, რომ ყველაფერი არ მომწონდა, რასაც იმ პერიოდში ბატონი ზვიადი ატარებდა პოლიტიკაში, მაინც ვეწინააღმდეგებოდი მის მიმართ შეთარაღებულ გამოსვლას. იმპინენტს კი ვუჭერდი მხარს. განსაკუთრებით ამ პერიოდში, და ყოველთვის, სამტრედიის “ეროვნულ-დემოკრატიული” ორგანიზაცია ზეწოლას განიცდიდა.

მეორედ ჩემი პარტიის დატოვების მიზეზი ირინა სარიშვილთან უთანხმოება იყო. პარტიაში ვია ჭანტურისა და მკვლელობიდან ორ-ნაღ დღეში დაბრუნდი. მისი წევრების წყალობით საკმაოდ რაფინირებული პარტია დამხვდა. საშუალო ფენის ბიზნესში ჩართვა დაეხმარებოდა ქვეყანას ეკონომიკურად განვითარებულიყო, ამიტომ ჩემს ცოდნასა და განათლებას ყველას უწვიაოებდი, ნაცნობს თუ უცნობს. ჩვენი კანდიდატიც, ტარიელ ჩაჩუა, ბიზნესმენი გახლდათ. მას 1995 წელს საკმაოდ ძლიერი მოწინააღმდეგე ჰყავდა კაკო კობალაშვილის სახით. ჩვენმა კანდიდატმა, გაიმარჯვა, მაგრამ მას ყოველთვის იგნორირებას უკეთებდა ირინა სარიშვილი. ასე რომ არა, შეეძლო, სასარგებლო მიმართულებები მიეცა ქვეყანაში ბიზნესის განვითარებისათვის... მეორედ დავტოვე პარტია და იდიოლოგიით ახლო მყოფ ძალას მივუერთდი.

რაც არ უნდა ხდებოდეს დღეს, ყველა დღემართს მოჰყვება ადმარითი. ვისურვებ, რომ “ეროვნულ-დემოკრატიული პარტია” იყოს ისეთი, როგორიც უნდა იყოს თავისი წარსულით, ისტორიით და თავისი იდიოლოგიით, რაც მთავარია!”

ვერბა, 2017 წლის 25 ივნისი, 14:00 საათი

ქართვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელობის
პროფესორი სპეციალისტი დრამატული თეატრი

სპექტაკლი 25 ივნისი

ლია შუშაბანიძე

პალიან შამანაძე ერთი მოქმედი

დავობაძე რამისონი და
შუსიკაშვილი გამორჩეული -
გიორგი სინარულიძე
მხატვარი -
თეო ქუხიანიძე

პროდიუსორი: სპეციალური სახელმწიფო სახელობის
სტრუქტურის რეჟისორები

მოხსენებელი:
გიული - გვამარაძე
დათი - ალექსანდრე გორგაძე
მარია - სიმონი ჩინაძე
ამირანი - გიორგი შინაძე
სპეციალი - ვახუშტი ნადირაძე

თეატრი
ჯანი კაპეჯი
TZENH KAPEZH
Axeo Street 3
☎ 210 3644021, 210 3675520

თეატრის სახელმწიფო სახელობის
პროფესორი სპეციალისტი
დრამატული თეატრი
Meskhisvilitheatre.ge

მისამართი: ვანთელისა 4 კულტურის ცენტრი კავეკასია
☎ 210.7211226 / 6995.956444 / 6992.355777 / 6998.392228 / 6995.964242 / 6942.765155

სამსახური ვეფხია ნადირაძე

სპექტაკლი შადიმან შამანაძის "ლია შუშაბანიძე", ცოტა ხნის წინ მესხიშვილის თეატრის დასმა საგასტროლოდ საბერძნეთში რომ წავიდა.

ვეფხია ნადირაძეზე რომ არაფერი ვთქვათ, მასში დაკავებული ყველა მსახიობი წარმოშობით სამტრედიელია, ერთის, სოფიო ჩინაძის გარდა. მაგდა გერაძე, ალექო III, გაგი შენგელია სამტრედიელები არიან, აქაურია მისი რეჟისორი გიორგი სინარულიძე.

მესხიშვილის თეატრმა მიწვევა ათენის ჯენი კარესის სახელობის თეატრიდან მიიღო. ამაში უდიდესი წვლილი იქაურმა ქართულმა დასამომხმად და უშუალოდ ავთანდილ მიქაბერიძემ შეასრულა. ეს სახელი და გვარი ძალიან ცნობილი და საიმედო საბერძნეთში მცხოვრები ყველა ქართველისთვის. ქართველი ემიგრანტების დიდი ინტერესი, უპირველესად, ცხადია, სამშობლოს მონატრებობითაა გამოწვეული და ბილეთების გაყიდვა-დაგვიშნის ნაულებობას ჯერ ისევე ჩავლამდე არ უწიოდა საგასტროლოდ გამზადებული დასა.

როგორც თეატრის ხელმძღვანელი სოლომონ გოგოლაშვილი აღნიშნავს, ფაქტობრივად, მესხიშვილის თეატრისთვის ეს პირველი გასტროლია. "ყოველთვის შიდა გასტროლები გვქონდა, თუ არ ჩავთვლით კომუნისტების დროს მოსკოვში გასტროლს. ეს მაშინ ნიშნავდა იმას, რასაც დღეს თბილისში საგასტროლოდ გამზავრება. მთელი დასი, განურჩევლად იმისა, იყო გასტროლზე თუ არა, ბედნიერია, რომ გზა გაიხსნა. ეს პროცესი გარკვეულ სიძველესთან, პრობლემებთან გახლდათ დაკავშირებული, მაგრამ ყველა დაძვლილ და წარმატებამ მოლოდინს გადააჭარბა."

მესხიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გიორგი სინარულიძე აღნიშნავს, რომ ბერძნულმა მხარემ აქცენტი თავიდანვე კომედიანზე გააკეთა, ამიტომაც, პირველ რიგში, "ჯანში მხოლოდ ქალიშვილები არიან" შესთავაზეს. აღმოჩნდა რომ მასპინძლებს ამხელა სპექტაკლის, ანუ ამდენად მრავალპერსონაჟიანი სპექტაკლის სტუმრობის საშუა-



ლება ამ ეტაპზე არ ჰქონდათ. შემდეგ გადაწყდა "ლია შუშაბანიძე." ეს გახლავთ წარმოდგენა, რომელმაც გასულ წელს ფესტივალის "თეატრალური იმერეთი", ორი მთავარი პრიზი დაიმსახურა, საუკეთესო რეჟისორული ნამუშევრისთვის გიორგი სინარულიძე, ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის კი მაგდა გერაძე დაჯილდოვდნენ. წარმოდგენა გასტროლზე ადვილად წასაღები მურტიდებული დეკორაციის გამოც გახლდათ.

და მეორე და მნიშვნელოვანი მომენტი, რაც მესხიშვილის თეატრის იმიჯსა და პროფესიონალიზმზე დადებითად აისახა - სპექტაკლი ისეთ თეატრში, ისეთ დარბაზში, იმ სცენაზე ითამაშეს, რომელსაც პრესტიჟი იმთავითვე არ აკლდა. არაერთი წლის წინ ამ დარბაზში თვით რომერტ სტურუას სპექტაკლი დაიდგა. მომავალი ტურნეს დაგეგმვისას თეატრის საგასტროლო ისტორიაში ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია.

და კიდევ ერთი, 80-იან წლებში უძველესი ისტორიის მქონე ქუთაისი უძველესი საბერძნეთის, მისი დედაქალაქის, ათენის ერთ-ერთ უბანს, ნიკიას დაუმეგობრდა. ათენი დაყოფილია უბნებად, რომლებიც ტერიტორიულად იმდენად დიდია, ქალაქიც კი შეიძლება ეწოდოს. გასტროლზე ყოფნის დროს, გაიგეს რა სამტრედიელი იყო, ვეფხია ნადირაძე

გაუმხილეს, რომ ათენში არის კიდევ ერთი უბანი, რომლის სახელწოდებაც პირდაპირი თარგმანით სამტრედიას ნიშნავს. მან, გასტროლიდან დაბრუნებულმა, საქმის კურსში მუნიციპალიტეტის გამგებელი ჩააყენა და დამეგობრების იდეა შესთავაზა. ასე რომ, თუ სახლზე იქნა, ის შემთხვევა იქნება, ვეფხია ნადირაძე სამტრედიას შორს რომ გაუთქვამს სახელს.

რაც შეეხება სპექტაკლს, "წარმატება ერთი თემა და ის სიტუაცია, იქაურებმა რომ გვიჩვენეს, მეორე. ემიგრანტებზე არაფერს ვიტყვი, მათგან ეს ბუნებრივად იყო. განსხვავებული, ამფითეატრის მსგავსი სცენა დაგვიხდა. ამან სპექტაკლს ხიბლიც და ემოციაც სხვაგვარი მისცა." - ამბობს ვეფხია ნადირაძე.

გასტროლის შემდეგ მესხიშვილის თეატრში ახალ ურთიერთობებზე საუბრობენ. ასევე სამტრედიამიც, ჯერ ერთი, ორივე თეატრის რეპერტუარში ერთნაირად მყოფი სპექტაკლი სურვილის შემთხვევაში კვლავ განმეორდება სამტრედიის სცენაზე და მეორეც, არ არის გამორიცხული, ამ ქუთაისურმა გასტროლმა სამტრედიის "დედუფლობით" აქაურ თეატრალურ სინამდვილესაც სასიამოვნო სახელები მოუტანოს, მით უმეტეს, შინაურულად ვიცით, რომ ნოვატორული წინადადებების სამტრედიელ ავტორს, ისინი მრავლად აქვს.

თეატრის განვითარება

...ასევე ამ შემთხვევაში, რადგან საქმე ინციტაციას ეხება, ქუთაისის მესხიშვილის თეატრისთვის სამტრედიიდან, სამტრედიისთვის კი ვეფხია ნადირაძისგან რომ წამოვიდოდა.

ეს "სპექტაკლი" ისე დაიწყო, როგორც მესხიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, გიორგი სინარულიძე ჰყვება: "თავ-

ის დროზე წინადადება სამტრედიიდან და უშუალოდ ბატონი ვეფხიასგან წამოვიდა. მისი ინტერესი გახლდათ, სამტრედიის დაგვიხდა წარმოდგენა, რომელშიც წარმოშობით სამტრედიელი მსახიობები იქნებოდნენ დაკავებულნი. შემორჩენილი გაფორმდა მესხიშვილის თეატრთან და ახლა სპექტაკლი ორი ქალაქის, სამტრედიისა და ქუთაისის თეატრების რეპერტუარშია."

ჩა დღეშია აგახიური სუკოხი?

ლეონა გავაჩიანი

...1917 წელს აფხაზეთში ჩაის პლანტაციის მშობლივად ერთი ჰექტარი იყო აღრიცხული, ხოლო 1950 წელს ჩაის პლანტაციების ფართობმა 10 000 ჰექტარს გადააჭარბა.

აჭარაში კი 1913 წელს ჩაი 862 ჰექტარზე იყო გაშენებული. 1950 წლისათვის ჩაის პლანტაციის რაოდენობამ 5391 ჰექტარს გადააჭარბა. მომდევნო წლებში მარცხენა ბლუბი კიდევ უფრო გაიზარდა.

ამჯერად არაფერს ვამბობთ საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარებისა და "თეთრი ოქროს" წარმოების მასშტაბებზე.

გავიდა დრო, გადაფასდა ღირებულებები, შეიცვალა პოლიტიკური ფორმაცია, აღარაა საბჭოური სისტემა და აღარც საქართველოსთვის ტრადიციული დარგები სოფლის მეურნეობისა.

არცთუ შორეულ წარსულში ჩაის მრეწველობის განვითარებას საქართველოსთვის სასიცოცხლო, სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა.

ხელისუფლება შეუწყობდა ყურადღებას იჩენდა დარგის შემდგომი განვითარებისათვის, მეჩაიეთა ყოფითი და შრომითი პირობების გაუმჯობესებისათვის.

იგივე უნდა ითქვას მეაბრეშუმეობის

შესახებ. "თეთრი ოქროს" წარმოებას საქართველოში მეჩაიეობაზე დიდი ხნის ისტორია აქვს, ამდენად, არაა საკვირველი, 20-25 წლის წინ ეროვნული ღირსების საქმეს რომ წარმოადგენდა მეაბრეშუმეობის, როგორც დარგის განვითარება.

საწარმოები, ორგანიზაციები, სასწავლო დაწესებულებები ყველანი ერთნაირად იყვნენ ჩართულები პარკის დამზადების პროცესში.

გასული 25 წლის მანძილზე როგორც ერთი, ისე მეორე დარგი უკან-უკან წავიდა და დღეს საქართველოში, უიმეათესი გამონაკლისის გარდა, აღარც ჩაი იყრითება და აღარც აბრეშუმი იწარმოება.

ეს არის მხოლოდ, რომ დროადრო მავანნი საზოგადოებას შეახსენებენ (რომ არ დაგვაყენებდეს) ამ დარგების აღორძინების აუცილებლობას და ამით მთავრდება ყველაფერი.

არადა, როგორც არასდროს, დღეს ისე სჭირდება ეკონომიკური თვალსაზრისით არასტაბილურ სახელმწიფოს ტრადიციული დარგების აღორძინება, რომელიც თითოეული ოჯახის, თითოეული ადამიანის კეთილდღეობის გარანტი იქნება და უეჭველად სახელმწიფოს ბიუჯეტზეც დადებითად აისახება.


თვალში საცემია ერთი (თუმცა ნაკლებმნიშვნელოვანი) დეტალიც. წინათ, წინასაარჩევნოდ პარტიები თუ ცალკეული პოლიტიკოსები დაპირებებს მაინც იძლეოდნენ, მათი არჩევის შემთხვევაში ამ დარგების აღორძინებისთვის რომ იბრძოდნენ, მომდევნო წლებში კი არც

საუბრით (დაპირებით) საუბრობს ვინმე, რომ არაფერი ვთქვათ რეალურ, აუცილებელ ნაბიჯებზე.

დაბოლოს, მოახლოებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ ამ წერილს იმიტომ კი არ ვწერთ, რომ ვინმეს ბიძგი მივცეთ, გამარჯვლევროვნოს წინასაარჩევნო დაპირებები, არამედ იმიტომ, რომ დავიწყებას არ მივცეთ, ავადორძინოთ საქართველოსა და ხალხისათვის ტრადიციული, რენტაბელური დარგები, მეაბრეშუმეობა, მეჩაიეობა.

გავიხსენოთ: ქართული აბრეშუმი საზღვარგარეთ საუკუნეების წინ გაქონდათ. ქართული ჩაი კი ღირსეულ კონკურენციას უწევდა ცვილონის ჩაის.

მეაბრეშუმეობა



ლია ჯან იქით

ქართველ ჯანს

“ადამიანი, რომელიც ცხოვრობს ერთ პატარა ოთახში, სადაც ძალიან ბევრი ნახატი, ძალიან ბევრი წიგნი და არეულობა...” ასეთია ბექა ჩანტლაძის წარმოსახვითი სამყარო.

იმ ოთახში ცხოვრება კი არცთუ ისე ადვილია.

“სადაც წინათგონობით ვიღვიძებ.

რომ ეს დღე მაინც იქნება განსხვავებული...”

იქ, ფიქრთა ჭიდილში, ლექსები იბადება რუტინული ყოველდღიურობით შეცბუნებული, ან

“ეფიქრობ, რომ მზე ზღვის ფსკერზე ცხოვრობს,

როგორც ბავშვობაში მჯეროდა, და ვგრძნობ, როგორ მიქრება პირიდან

უიმედობის გემო...”

თავისთავად არც პირველად მოსულა რეაქციაში, მაშინ ჩანახატები მოიჭანა. ლექსი ჩემთვის მაღალი დირეჟულობაა და რამე დავწერო, ვერ შევებდებო, თქვა. რამდენიმე წლის შემდეგ ქალბატონი ელიო ანკვაბის ძალისხმევით ის კვლავ მოვიდა ჩვენთან, ოღონდ უკვე ლექსებით.

ბექა ჩანტლაძე 21 წლისაა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტელეკომუნიკაციების ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტია. სახლში, სადაც ის გაიზარდა, ძალიან ბევრი წიგნია. ლექსი ყოველთვის ეწერება ბექას და სტრიქონები ხშირად ძილს უფრთხობს. ვერლიბრი, ანუ თავისუფალი ლექსი, აირჩია თავისი სიტყვის საასპარეზოდ. ბევრ რამეზე მეფიქრებო, ახალგაზრდა შემოქმედმა. ცდილობს, თავისი შეხედულებები ჩარჩოში არ მოაქციოს, აზრს გასაქანი მისცეს. თუ ასე არ ხდება, “ეს ნიშნავს, ჩაკეტო კარი, ჩაკეტო ფანჯარა, გასაღები გადააგდო და გარეთ გასვლაზე იმეორებო, ვიღაცას დააბრალა, იქიდან არ ვიშვებენ.” უყვარს, როცა ყოველდღიურობას გადმოსცემენ ლექსებით.

პრობლემებზე საუბარს არც თვითონ ერიდება. მისი ლექსები უმეტესად ჩვენი ყოფის ნიუანსური გაცხადებაა.

“მივაბიჯებდი სწრაფი ნაბიჯებით

და მიხაროდა, რომ ვტოვებდი ნაცრისფერი კორპუსების ქალაქს, რომელიც დიმილის სანაცვლოდ ზურდად იმედგაცრუებასა და დეპრესიას მიბრუნებდა”.

ან კიდევ:

“შენ ზიზარ ნახევრად კომფორტულ სკამზე

და ფანჯრიდან უყურებ, თუ როგორ გარბიან ხეები და ელექტროგადამცემი ბოქები ამ სამყაროს მიღმა.

შენ მგზავრი ხარ.

აუხდენელი ოცნებების, არშემდგარი სიყვარულის, აუშენებელი სახლების,

გაცივებული სადილებისა და ომიდან დაუბრუნებელთა მოგონებების მატარებლის მგზავრი.

ზიზარ მეტ-ნაკლებად კომფორტულ სკამზე

და ყურს უგდებ მატარებლის ბორბლების ხმაურს,

რომელიც რეფრენად იმეორებს ყოველივეს,

რაც შენ ოდესღაც გიყვარდა... ამ სამყაროს მიღმა სახლიდან პურის მალაზიამდე გადადგმულ ნაბიჯებს

და პირიქით, სიგარეტის ნაფაზებს, გუშინწინდელ სენდვიჩს,

რომელიც წამოსვლის წინ ჭამე. იმ გოგოს სახელს, რომელიც დავტოვე ყვითელ, მტვრიან ქალაქში,

შენს შეცდამებს, რომელიც დავუშვი და მომაგაღწიე დავუშვივებ, როგ-ბენდის სიმღერას, რომელიც შენ მოისმინე რომელიღაც ჭუჭყიან ბარში

მკვდარი ოცნებების ქუნაზე...”

სიტყვათა წყებაში ბექას თავისთავადობა ივითხება. ბევრი პოეტის ლექსებს



ეცნობა. მისთვის გამორჩეული შონ აბრამის შემოქმედებაა.

“ეს მისი ფსევდონიმია. ჩემს უნივერსიტეტში სწავლობს. ძალიან კარგი ადამიანია. ლექსების წერა ადრე დაიწყო. აქტიურად მონაწილეობს შემოქმედებით საღამოებში. ვებგვერდებზეც შეხვედებით მისი პოეზიის ნიმუშებს. მოწონებით სარგებლობს ჩვენს თაობაში. მე ვიზიარებ მის რჩევებს, კონსულტაციებს, მაგრამ ვცდილობ, არ მოვექცე მისი გავლენის ქვეშ. საერთო მხოლოდ ის გვაქვს, რომ სათქმელს ორივე პირდაპირ, დაუფარავად ვამბობთ” – გვიხსნის ბექა.

მოსწონს ტატო ჩანტლაძის, გიორგი ბებიაშვილის ლექსები. გიორგი კარგი მუსიკოსიცააო, გვიხსნის მას. სურვილი აქვს, მათსავით მაღალი დონის ლექსები დაწეროს. ეს შეჯობდება კი არა, სტიმულია, მათგან რომ იღებს თავისი შემოქმედებითი უნარის გასავითარებლად. “მე კონკურსების მიმართაც სხვანაირი დამოკიდებულება მაქვს” – გვიზიარებს თავის დამოკიდებულებას, – “ბევრ კონკურსში მიმიღია მონაწილეობა, იმტომ კი არა, რომ ვერ გავიმარჯ-

ვე ვინც გამარჯვდა, ჩემი ღრმა რწმენით, ამას არც ისინი იმსახურებდნენ. თანაც, კონკურსი ერთგვარად ჩარჩოებში გაქცევს.”

საკუთარ ლექსებს ბექა ყოველთვის კრიტიკული თვლით უყურებს. ფიქრობს, რომ მის სიტყვასა და სათქმელს დახვეწა სჭირდება. თავისი ლექსების ობიექტური შემფასებელი, უპირველესად, თვითონაა.

ბეჯითი სტუდენტი აქამდე, დროის დეფიციტის გამო, შემოქმედებით საღამოებს ვერ ესწრებოდა. ასეთი საღამოები კი, მისი აზრით, ზრდის პოეტს. ფიქრობს, რომ წინ ჯერ კიდევ ბევრი აქვს სათქმელი. ყველაზე მეტად თავისი ბოლოდროინდელი ლექსი მოსწონს, რომელსაც შედარებით დიდხანს წერდა და რომლიდანაც ამონარიდებს ამ წერილში შემოვთავაზებთ.

“შენ ახლა აღარ ხარ იმ პატარა ქალაქში,

სადაც ერთადერთი ქალღმერთი იყო.

შენ რეკლამების, კაზინოების, ჰიპერმარკეტების,

სწრაფი კვების ობიექტების, აუშენებელი კორპუსების და მიწისქვეშა გადასასვლელების დემონების ქალაქში ცხოვრობ...”

და იქვე:

“მხოლოდ დღისით გრძნობ, რომ სულაც არ ხარ

ისეთივე უსარგებლო, როგორც რომელიმე აუშენებელი კორპუსი

და შენი თვალებიც

ნებისმიერ რეკლამაზე მეტად ანათებს.”

“თუ შემოქმედი ხარ, უნდა თქვა ის, რაც გულს გიღრნის, შეგინდან გჭამს, გკლავს უიარაღოდ და არა ის, რაც ვიდაცას მოეწონება.” – ასეთია მისი პოეზია. – “ჩემი ლექსი იმ ახალგაზრდას ჰგავს, რომელიც ოცნებობს ფერად სამყაროსა და ისეთ რაღაცებზე, რაც ჩვეულებრივ რეალობაში არ შეგხვდება”.

შეყვარებული? – ესეც მისი თვისობრივი ყოველდღიურობაა. სხვა შემთხვევაში, დარწმუნებულია, რომ ვერაფერს დაწერს. ჩემს ლექსებში ბევრი სიყვარულია. მაგალითად კი ეს სტრიქონები მოჰყავს:

“ეფიქრობ ფერად ზურგანთან, ხუჭუჭტიმან გოგონაზე, რომელიც

რამდენიმე დღის წინ

სწორედ ამ გაჩერებაზე შემხვდა და გამიღიმა.”

და კიდევ ერთი, შეიძლება მოსწონდეთ ან არ მოსწონდეთ ბექას ლექსები, მაგრამ მთავარი, რაც საუბარში იყვითება, მისი პოეზიური დამოკიდებულება თავისი თაობის მიმართ, ეამყება მეგობრები, წიგნიერები, განათლებულები რომ არიან. მისი სიყვარული ქვეყნისა და თავისი ოჯახის მიმართ. რომ ბექა მაძიებელი, შრომისმოყვარე ახალგაზრდაა, რომელსაც ერთი დიდი სურვილი აქვს – მისი ვერლიბრი გახდეს ისეთი, ნაცნობების გარდა, ტაში სხვამაც დაუკრას.

“ტყეებს ნუ ჰკავავ, კიოზილო”...

“ტყე გამოშვლდება ბრალია, მთის ცივი წყარო დაშრება, ყანას მოგვიჭამს კალია”!

ამ სტრიქონებს ვერა და ვერ მოვეკიდეთ გავებით, ვერ გავითავისეთ სიბრძნე, თუნდაც: წინასწარმეტყველება, თუ რა მიმე შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა ტყეების უმოწყალოდ, განუკითხავ ჩეხვას.

ტყეებიც გავჩეხეთ. მთის ცივი წყაროებიც ალაგ-ალაგ დაშრა და... ყანასაც კალია შეესია...

მერე რა, რომ მაგნებელს “აზიური ფაროსანა” ჰქვია და არა კალია, მთავარია, მაგნებელი მაგნებლობას რომ არ იშლის და მას შემდეგ, რაც მოსახლეობა, თხილის ბიზნესით დაინტერესებულნი პირში ჩალაგამოვლებულები დატოვა, ფაროსანამ სიმინდის ყანებს შეუტია.

შეუტია და მერე როგორ! სპეცტექნიკის მეშვეობით ხდება ყანების მასობრივი შეწამვლა. უკვე შეიწამლა ახალსოფლის ფართობები. ტოლებში 310, გომში 70, ქალაქ სამტრედიამში 620 ჰექტარი ფართობი უნდა შეიწამლოს.

აზიური ფაროსანა, რომელმაც თხილიდან სიმინდზე გადაინაცვლა, დიდ ზიანს აყენებს გარემოს, მოსახლეობას. მაგნებლის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ღონისძიებები ამერიკაშიც მიმდინარეობს, რთულად საბრძოლველი მაგნებელია. – განუცხადა “სამტრედიის მაცნეს” მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ, ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა როსტომ თავაძემ.

არაა რეკომენდებული სიცხეში, მზეში შეწამვლა, ამიტომ პროცესი დილის 6 საათიდან 9 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 21 საათამდე პერიოდში წარმოებს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის სააგენტოს იმერეთის რეგიონის წარმომადგენელი ლევან თოლორაძეა უწევს პროცესს კურატორობას.

იმაში, რომ ამერიკელებიც ებრძვიან ფაროსანას, საქართველოსა და ქართველებისათვის მაინცდამაინც სანუგეშო არაფერია, მთავარია, ისე გავანადგუროთ მაგნებელი, რომ თხილიდან სიმინდზე, სიმინდიდან... არ გადაინაცვლოს.

ლევან ბაბინაძე



ჩვეს მარხში, მარხშია

ლევან ბაბინაძე

მსოფლიოშია განთქმული კახური ვაზი, კახური ხილი.

დიდი ხნის წინ ირანის მბრძანებლები სუფრას, წვეულებას, განსაკუთრებით მამინ, როცა სხვა ქვეყნის ელჩებს მას პინძლოდნენ, სრულფასოვნად არ თვლიდნენ, თუ კახური ატამი და ხილი არ იწონებდა თავს ხორაგით გაზნეკილ გრძელ მაგიდებზე.

მერე კახეთში გლეხები იქამდე მიიყვანეს, ყურძენს ისეთი მინიმალური ფასი დაედო, ქართველმა კაცმა საკუთარი ხელით აჩეხა ვაზი.

დრო გავიდა.

უკვე ღმერთის წყალობით, ქართული სოფლის პროდუქტია საქსპორტოლ რუსეთის ფედერაციაში, უკრაინაში, აზერბაიჯანსა და სხვა მეზობელ სახელმწიფოებში გადის.

თითქმის ორი თვე იმყოფებოდა მივლინებაში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტოს იმერეთის სამმართველოს ინსპექტორი ბატ-

ონი მიხეილ სხვიტარიძე კახეთის რეგიონში, სადაც იქაურ კოლეგებთან ერთად ხილის ექსპორტითა და სერტიფიცირებით იყო დაკავებული.

– კახეთში ჩემი ყოფნის პერიოდში 6800 ტონა

ატამი და ვაშლატამა გავიდა საზღვარგარეთ. გარდა რუსეთისა, ქართული პროდუქტია სომხეთში, აზერბაიჯანში, უკრაინასა და სხვა ქვეყნებშიც გაიგზავნა, მთავარი და მისასალმებელი ისაა, რომ რუსეთში ხილის ექსპორტი გაორმაგდა, დიდი მოთხოვნილება აქვს ქართულ პროდუქტს რუსულ ბაზარზე, ამავე დროს ფასებიც მისაღება ფერმერებისა თუ კერძო მეპატრონეებისათვის. მაგალითად, ატამს საშუალოდ 50-60 თეთრად, ვაშლატამას კი 80 თეთრიდან 1 ლარსა და 20 თეთრამდე ფასებში იბარებდნენ.

გარდა ატამისა და ვაშლატამასა, რუსეთში საადრეო ყურძენი, ქლიავი, შინდიც გაიგზავნა. ოცდაოთხსაათიან რეჟიმში ემუშაობდით, იმდენად დიდი გახლდათ საქსპორტო ხილის ნაყადი.



მოსავალიც შესანიშნავი იყო წელს კახეთში. – განაცხადა ჩვენთან საუბარში მივლინებიდან ახლად დაბრუნებულმა მიხეილ სხვიტარიძემ და დასძინა, რომ მეზობელ ქვეყნებში ქართული ხილის ექსპორტი ამჯერადაც გრძელდება.

ჩვენი მხრივ დავექნეთ, რომ მისასალმებელია, ჯერ ერთი, კარგი მოსავალი, მერე ხალხისათვის მისაღებ ფასებში რომ წარმოებს ხილის სახელმწიფო-ოსთვის მიყიდვა. რაც მთავარია, ისიც ქართული ატამი თუ ვაშლატამა ერთგვარი “დესპანის” როლს რომ ასრულებს საერთაშორისო სარბიულზე.

ასე რომ, რაც კარგია, ქართულია!

"ლაპიდუზი ისევ დიდებული და სხვს მთხარეზე..."

ჩვენს ქალაქში, საბუნდოვანად, არიან ადამიანები, ვინების თვალში და გულისხმობი ღირსეული მისამართებისაა რომ მიუყვები, "სურთ, იწამონ ბროლიში თქვენი სიტყვების ძალა". მათ შორის ქალბატონი რუსუდან კახიანი დასახელება არაფისთვის იქნება გასაკვირი.

სინატიფით მზერის დასაბურებლად ზაფხულის სიცხეს გაუცხოებულ ზემო სვანეთს მივყავართ, გვითხრა რამდენიმე ხნის წინ და შთაბეჭდილებების გასაზიარებლად აკინძული ჩანაწერებით საცხე "სვანური რეკვილი" "სამტრედიის მაცნეს" მოახლო მეთხველი-ამდე მისატანად...

მონი კახიანი

ფოლკლორული ანსამბლი "ათინათი" "სვანეთობაზე" მიიწვიეს აგვისტოს პირველ მომდერალი ქალბატონების კეთილი ნებით მხვდა წილად ბუნდოვანად, მათი მარშრუტი გამეზიარებინა...

დილაადრიან დავეთხოვეთ იმერეთს და მალალ-მალალი გზებით სავალს დავედქით გამოცდილ მძღოლს, ბატონ რამინ ვაშვიტს, მინდობილინი.

პირველი შესვენება – ჯვარი, ენგური... სოფელი ბარჯაში. იგრძნობა თავიანთი სვანეთივით კარგები არიან დამხვდურები. კუბდარს გეთავაზობენ, ტრადიციულს, მისი ყოფას შეხორცებულს.

ირგვლოვ სიმშვიდეა – პარადოქსული, ხმაურთან სიმშვიდე.

"გამორბის მდინარე ბლავილით, ნაპირებს ცრემლები მოვწმინდე.

ფერდობზე წერწება ყვავილი მაგონებს შენს თავს და მოვწვევს..." "ათინათის" წვერთაგან ქალბატონი ნათელა ჯიმშელიშვილი მეგზურად გამოირჩა, აქაური ხვეული ბილი-მისასვლელების ჩინებულად მცოდნე.

არცთუ შორიაო ბენომდე... სიმშვიდით გარემოცულ დასახლებებზე მიგვითითა. მართლაც, მალე ვრცელ ეზო-კარს მივადექით. ოჯახში ახალგაზრდაცვლილი ყოფილა ქალბატონი ნათელას დეიდაშვილის მეუღლე, რომლის ქმარი ვაჟთან ერთად შეგვიძღვა შინ. მიუხედავად მწუხარებისა, დიდა ჩვენადი გამოხატული პატივისცემა.

მაგიდას შემოვუსხედით. დოლის პური, სანაქებო სულგუნი, საოცარი სვანური მაწონი... სახელდასხვად გაიშალა ნატურმორტად საქცევი სუფრა.

"ათინათის" წვერებმა ცრემლად დაიდინეს საამო საგალობლები გარდაცვლილის საფლავზე.

ვაგრძელებთ გზას. ენგურს მივუყვებით...

"ტკბილია სვანეთში სტუმრობა, სვანეთთან ღებინა და პურობა, და კიდევ პურობაზე მეტი არი, ლეგარას მტავე წყალზე ხეტილი."

გზადაგმა აღფრთოვანებას ვერ ვფარავთ ნანახით. ნისლი თითქოს შეუძნეულად ეკვრის მწვერვალებით გადაბჯენილ მთებს, "აი, იმ ღრუბელს ალაკერდ-



ის ეკლესიასავით გრძელი ყელი აქვს"; ჩანჩქერები, უხვი შენაკადები, დაცვარული, ნახაესარი კბოლოვანი... უკან გვრჩება ხაიში, ჭუბური, ჯორჯვალი, დიზი, ნაკრა, ეცერი, ლატალი, ლენჯერი...

წინ კი მესტია – განუმეორებელი, ცათა მალაღლი მადლი, ზღურბლად დაღებული მიწიერ მშვენიერებასა და არა-ამქვეყნიურობას შორის, "ისე ღრმა, ისე ფაქიზი..."

მწუხრის სიბნელემ მომავადობელი ელფერი ვერ გაგვტაცა.

"ლაპიდუზი ისევ დიდებული და საცხე მთვარეა..."

და ყველაფერი ზღაპრული და

იღმალია – ძველი მურყავი, უშბა, თეთნულდი და ლამარია...

ლაპიდუზი ისევ დიდებული და საცხე მთვარეა..."

გათენებამდე ჩართოლანების არაჩვეულბრივ ოჯახში დავიღებ ბინა. განსაკუთრებული სიბოთი მიგვიღეს. გიღობაც გაგვიწია დიასახლისმა და გამოგზავრებისას, როგორც თავად გაგვიმხილა, სპეციალური სახელბელებით მომზადებული კუბდარიც გაგვასინჯა.

მეორე დღეს ქთქითა დღოფლად წოდებულმა თეთნულდმა და ბრანინად სახელბელებულმა უშბამ ააგორა მზე ჰორიზ-

ონტზე. ვეწვიეთ მესტიის ღირსშესანიშნავ ადგილებს; "მთის ვეფხვის", მიხილ ხერგინის, სახლ-მუხუუმში ჩვენებურების მხარდამხარ უწვევტ ნაკადად მოდიოდნენ არაბი, ჩინელი, გერმანელი, ფრანგი... ტურისტები. ხალხური მელოდიებით დაუვიწყარი სანახაობა შეგვიქმნა "ათინათმა". უცხოელები იღებდნენ ფოტოებს, ვიდეოებს. იყო უამრავი აპლოდისმენტი და შეძახილი - "ბრავო, ჯორჯია!" 600 მეტრის სიმაღლეზე გამართული

ლოთ, სალოცავთან ახლოს გვენახა სვანური კოშკი. როგორ უხმოდ მეტყველებს იგი ამგებისა თუ მცხოვრების უღრეკ ბუნებაზე, ქედუხროლობაზე... კეთილგანწყობით, ძვირფას სახსოვრად მორთმეული ხატებით გამოგვემშვიდობნენ დღეები.

მეფიქრებოდა, ნეტავ, აქაური სული ედგას მთელ საქართველოს...

გამუადლდა. საგანგებოდ მოწვიბილ სცენაზე ანსამბლი "ათინათი" იხმეს. უამრავი მსმენელი, მაყურებელი შემოგვკრებოდა გარს – ისინი, თითოეული სიმღერას ოვაციებით რომ ავილოდობდნენ მოწონების ნიშნად. ვიღლო სხვაც ბევრი მიღეს პროფესიონალმა მომღერლებმა ჟურისგან გაცემული სიგელების, საჩუქრების სახით... ვოიაჟმა წარმატებაც მოიტანა, უდიდესი სიამოვნების მონიჭების გარდა...

მადლიერება მსურს დავეუბნო მესხიერებიდან ამოუშლელი ამ მარშრუტის დაგვემისათვის ქალბატონ ნათელა ჯიმშელიშვილს, რომელმაც გამოუთქმელი ენერგით, თავდაუზოგავად მოახერხა, რამდენადაც შესაძლო იყო, გულნაკულონი არ დავეტოვებინეთ რისავე უნახაობით.

ტკბილი ხმებისთვის, ხალასი იუმორისთვის, სიბოხა და ერთობისათვის კმაყოფილებას ვერ დავეფარავ ანსამბლ "ათინათის" წვერი ქალბატონების: ციალა სტურუას, ვუჟუნა ნიგურაძის, მარინა ვარდანიძის, ნანა ჭეშველის, მაყვალა ტვაცირიას, ელენე ლიპარტელიანის, ლია არუსიას, დალი დავითაის მიმართ.

თქვენ შექმენით დღე-სასწაული!... გუშკვე ლაღად სკა!

– ასეთიაო სვანურად დალოცვა-მადლობის ფორმულა...

რუსუდან კახიანი

ბეხძენი ანესტი სიცმადიდის ოჯახის ისტორია

დასასრული. დასაწყისი "სამტრედიის მაცნე" №21

1945 წლის 9 მაისს ომი დამთავრდა საბჭოთა კავშირის გამარჯვებით. ზოგი დაბრუნდა შინ, ბევრიც – არა, ზოგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, ზოგს კიდევ ჰქონდა იმედი.

1949 წლის 13 ივნისს, ორშაბათს, დილის პირველ საათზე სიტმალიდების ოჯახს მოადგნენ სამხედროები. ანესტი სიტმალიდი მეუღლეთა და ვაჟიშვილით გადასასახლებელთა სიაში იყვნენ.

იღიმება ვიდაც...

მოულოდნელი არ იყო ქალბატონ პართენასთვის. მრავალი ჭირის მნახველი და გადამტანი ქალი არ დაბნეულა, ქმარს შეუძახა, გაუღიმა, პასუხად უღიღამო სახე შემოეფეთა.

ეწინა, ო, როგორ ეწინა მიკეთეს... "ღვთისმშობელი მარიამ, მოგვეწველე, მოგვეც ძალა, ესეც გადავიტანო!" – ჩურჩილებდა ქალი, დედა, მეუღლე, სათუთად ახვევდა ხატებს თეთრეულში და საიმოდლ ინახავდა.

თბილისში მამა ეთხოვებოდა დას: "კორა, სამტრედიამი ჩადი, მშობლებს მიხედე".

დედაქალაქში მოძრაობა შეწყვეტილი იყო. არც ტელეფონი მუშაობდა და არც დეპეშა მიდიოდა. მოძრაობაც შეწყვეტილი იყო, მხოლოდ დახურული საბარგო მანქანები დარბოდნენ. ერთ-ერთ მათგანში სტუდენტი მამა სიტმალიდიც იყო.

კორამ სამტრედიის რეინიგზის სადგურში მოუსწრო მშობლებს. მამის თვალებში სიცოცხლის ნაპერწკალია გაკვეყსა. ქალიშვილს ანიშნა, ვაგონში ასულიყო. ემელონს თავი და ბოლო არ უჩანდა. კორა შეცბა. წამიერი იყო ეს. ანესტი გამოერეკა...

და ისევ... ეს იყო მამა-შვილის უკანასკნელი შეხვედრა და უკანასკნელი განმორებაც (კორა ერთი წლის შემდეგ ჩავიდა ყაზახეთის ქალაქ თურქისტანში, მაგრამ მამა ცოცხალი აღარ დახვდა).

ოცდაოთხი დღე-ღამე იარა ემელონმა, მგზავრებმა გაუსაძლის გაუძღეს იმ გაგანია სიცხეში დახურულ კარ-ფანჯრებში. წყალი იყო, რაც ყველაზე მეტად უნდოდა ხალხს.

საქართველოს საზღვრებს რომ გამო-

რდნენ, ჯარისკაცებმა ფანჯრები დააღეს. "სამოთხე!" – აღმოხდა ვიდაცას. ვიდაცამ ემელონიდან წყლის მიზრდილი გუბე შენიშნა ტრიალ მინდორზე. მემანქანემ გა-



აჩერა ემელონი. წყალს დაეწაფა ათასი ადამიანი. მიუტანეს წყალი ანესტის, მან ქათქათა თეთრი ცხვირსახოცი მიაფარა ჭურჭელს და ისე მოსვა წყალი. ცხვირსახოცი წითელმა, სისხლიანმა ტუჩებმა გააფურადა.

მივლანებოდა ემელონი ტრიალ მინდორზე და ნაივიც ნებოიერად ეფოფინებოდა ყველას. ახ, უღმერთონი! – წამოიბ-

ახა ჩუმი ხმით ვიდაცამ... ახლა უფრო იგრძნეს მგზავრებმა უპაერობით მიყენებული ტანჯვა.

მაიქრის ემელონი, მივილანებდა. ირგვლოვ ყველაფერი: ცა, მიწა, ტყე და მინდორი, მთა და კლდე-ღრე ცვლის ერთმანეთს; მზე – მთავრეს, ვარსკვლავიანი დამეები – ბნელ დამეებს. "ღმერთი ჩვენთან არს", – ამბობდნენ ქალები და პირველს იწერენ, "პანაია, პანაია არ მიგვატოვებს".

ემელონი ეს მერამდნე კეირაა დაუდალავად მიიჩქარის. სად? არაფერ იცის. იქნებ, საბერძნეთში? ჰა? უცნაურია. არაფერ იცინის. მგზავრები დემილმა მოიცვა. ჭირში დემილი უფრო მეტს ამბობს. კენესა გა-

ისმა. კენესა სხვასაც რომ არ გადასდებოდა, ვიდაცამ წაიღიდა: "თქვას გულმა, რისი თქმაც უნდა..." ღირის ხმაც გაისმა (პონტოელი ელინელების მუსიკალური საკრავი ინსტრუმენტი), სვედით, გაუბედავად ნათქვამმა სიტყვებმა გული შეუქმნა მგზავრებს. საკრავის ხმა გაბედავლებას იერებდა, ძლიერდებოდა, გრძობის გამღვიძებელმა სიტყვებმა: "რას კი-

თხულობ ან რას ჩივი, ასეთია ცხოვრება..." საბოლოოდ დაარღვია დემილი. ვიდაცამ ხელები ასწია და უმოძრაობისა და სიცხისაგან დასივებული ფეხები ამოძრავა. ცეკვავს კაცი! შემდეგ ხელი ჩაჭვიდა მწობელ თანამგზავრს, იმან სხვა აივია, აჩონდა ისიც და მოსავათებულმა სხეულბმა სიცოცხლე იგრძნეს... უფლის ნება იყო ის, რომ აქ, ამ ვაგონში მოხვედრილიყვნენ თანამგზავრები.

ბატონი ანესტის და ქალბატონ პართენას ეთიერი საკრავის ხმამ უფრო აუშვოთა სული, რომელიც ეგონათ, რომ აღარ ჰქონდათ, დაჩაგრული გული გააპოფიქრმა. ასე როგორ გაიხილია სიტმალიდების ოჯახი?! მშობლები, დები, ძმები, შვილები... ღრმად გულში, საიდუმლოდ იმდეს ებლაუჭებთან. იტირონ სირცხვილია! სხვა უკეთეს დღეშია თუ? არადა, როგორ უნდოდათ, გული მოეოხებინათ მითქმა-ტირილით. არა! – ღრიალით, მხეცური ღრიალით.

ამ დაუმთავრებელმა ხეტილმა საუკუნით დაამორეს ყველაფერს მანამდე გაცნდოლს, ავსაც და კარგსაც, მტერსაც და მოკეთესაც. უნუგეშობა გაბატონდა და მანაც ყოველი სადგურიდან, სადაც კი შერყედილა ემელონი, მამა დეპეშას უგ-

გმირებს არ ივიწყებენ ჩვენში ილო ქურდობაში

ლეონ გავაჩიანი

25 წელი შესრულდა ამ დღეებში აფხაზეთში ომის დაწყებიდან. მეოთხედი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ სამხედრო-სასიცილბო ბრძოლებს ასეულობით სიცოცხლე ემსხვერპლა.



კონფლიქტი, ათწლეულების მანძილზე რომ მწიფდებოდა, ომში გადაიზარდა და...

მკერდმოკვეთილ ამორძალსა ჰგავს უაფხაზეთო საქართველო.

შოვინისტური რუსეთი თავისას არ იშლის და მათეულხლართებით მოიწყვეს წინ...

ისევ აფხაზეთის ომი. მნიშვნელოვანია წვლილი, სამტრედიელმა ახალგაზრდებმა რომ შეიტანეს ქართულ-აფხაზეთი კონფლიქტის შედარებით ნაკლები დანაკარგებით დამთავრების საქმეში.

მართალია, ჯერჯერობით, აფხაზეთში არ ვრცელდება საქართველოს სახელმწიფოს ოკუპაციის, თუმცა, რომ არა ჩვენი დროის გმირები, შედეგი გაცილებით რთული, ვითარება უფრო უმართავი გახდებოდა.

კიდევ ერთი ახალგაზრდა გვინდა გავიხსენოთ, აფხაზეთის ომში რომ მოუსწრაფა სიცოცხლე.

1971 წელს სამტრედილაში დაიბადა **ილარიონ (ილო) ქურდობაში**. ერთ-ერთი პირველი ჩადგა იგი ქვეყნის სუვერენიტეტის დამცველთა შორის. საკვლავდებული სამხედრო სამსახურის გაულის შემდეგ 20 წლის ახალგაზრდამ განცხადება დაწერა და წავიდა.

ომში წავიდა ილო ქურდობაში... ცრემლით ნუ გამაცილებთ, მალე დავბრუნდებიო, ანუგეშებდა დედას. ვერ დაბრუნდა.

ოჩამჩირეთში, სოფელ აძიუბავასთან წამოეწია მტრის ტყვია. სამარეში თან წაიღო სამტრედიელმა ახალგაზრდამ ლამაზი, აუხდენელი ოცნებები.

1992 წლის 19 დეკემბერი იყო მამის. მშობლიურ სამტრედილაში დაკრძალეს ჩვენი დროის კიდევ ერთი გმირი ილო ქურდობაში.

დავიწყების ბინდი არ მიეკარება, სამშობლო, მომავალი თაობები არ დაივიწყებენ და ხსოვნით უკვდავყოფენ გმირთა სახელებს.

მათ ხომ ვგელაზე ძვირფასი – სიცოცხლე ანაცვალეს სამშობლოს, მომავალ თაობებს.

გმირებს არ ივიწყებენ ჩვენში.

გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი, ბატონი **გალერი სარგოს ძე ჩხიძი** და თანაუგრძნობს ჭირისუფალთ.



ბეჟან გოგია თანაუგრძნობს თენგიზ ჩხეიძის ძმის, ბატონი **გალერი ჩხიძის** გარდაცვალების გამო.

საზოგადოება “სამტრედიელი” მწუხარებას გამოხატავს ღირსეული მამულიშვილის, გენერალ-ლეიტენანტის, ბატონი

გალერი სარგოს ძე ჩხიძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს ჭირისუფალთ.

გია ბოჭორიშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოხატავს სიყრმის მეგობრის, საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ყოფილი უფროსის, გენერალ-ლეიტენანტის

გალერი სარგოს ძე ჩხიძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს ჭირისუფალთ.

ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირი მწუხარებას გამოთქვამს გენერალ-ლეიტენანტის, ბატონი

გალერი ჩხიძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” რედაქცია თანაუგრძნობს ქალბატონ ანა თხილაგას ძმის, **ბაღრი თხილაგას**

გარდაცვალების გამო.

ნათელა და ვაჟა ტერულაძეები თანაუგრძნობენ ქალბატონ ანა თხილაგას ძმის, **ბაღრი თხილაგას**

გარდაცვალების გამო.

თეა ბაბუნაშვილი თანაუგრძნობს ანა თხილაგას ძმის **ბაღრი თხილაგას**

გარდაცვალების გამო

ვასტანო ნონინის ბასსენება

გავიდა ტკივილიანი 40 დღე, რაც ჩვენთან აღარ ხარ, სიჭარბაგით დამშვენებულ ჩვენო მამიკო. დაგვაკლდა შენი სიტბო, სიყვარული და მზრუნველობა. გული სიამაყით გვევსება, როცა ვგელა დიდი პატივისცემით გიხსენებს როგორც ღირსეულ, კეთილშობილ პიროვნებას.

ვლოცულობთ და ვვედრებით უფალს, რომ შენმა სულმა ცათა სასუფეველი დაიმკვიდროს.

ქიმიკან, გალუზ, ირან ნონინაძეები

ნათელა და ვაჟა ტერულაძეები თანაუგრძნობენ ქალბატონ ნინო გოგიაგას სიძის, **რამაზ პოხივაძის** გარდაცვალების გამო.

ზავინდა ქალიშვილს. თურმე ძმაც იგივეს აკეთებდა (თბილისის ემელონი სხვა გზით მიდიოდა).

ოცდამეოთხე დღეს ემელონი, როგორც იქნა, გაჩერდა და მგზავრებმა “ჩამობრძანების” ბრძანება მიიღეს. შუა აზიის ეს ტრადიციული მინდორი იყო მათი სამფლობელო. სადაური სად გადაისროლა ცხოვრებამ.

ვაგონიდან ჩამოიტანეს ბარგი-ბარხანა, მაგრამ თავი ისევ ვაგონში ეკონათ. ირწოვდნენ, ისე, როგორც ზღაპრე გემი. დაიცალა ემელონი და წავიდა, გაქრა. პატარა სადგურიც არ ჩანდა. ასე უღვთოდ დაყარეს ცხელ ქვიშაზე (ექვსი კილომეტრი აშორებდა ამ ადგილს სოფელსა და პატარა მდინარეს). ამდენი ათასი კაცი, ქალი, მოხუცი, ბავშვი... როდის დადამდა, ან როდის გაითენდა...

ათვისტურ სახელმწიფოში დეთის ამარად მიტოვებული ამდენი ადამიანი სასოწარკვეთილებას ღრმად გულში ძალაუდნენ და ერთმანეთს უკბილო დიმილით ანუგეშებდნენ. ახალგაზრდები ოხუნჯობდნენ, მოხუცები იმედით შესცქეროდნენ მათ, პატარები გაოგნებულნი იყვნენ. ერთ კვირამდე ვეღვაფერა “მოწესრიგდა”, ფიცრებით დატვირთული მანქანები დანიშნულ ადგილამდე იცლებოდა. ვინც მოასწრებდა, ფაცხასაც ის ააშენებდა მზისაგან თავის შესაფარებლად. არ აიწერებდა ის, რაც თვალთ არ გინახავს და გულით არ გიგრძენია.

“პირველ ხანებში სამარსკვლავიანი სასტუმრო ვეძებო. რესტორანი ჰქონდა კარგი”, – მრავალი წლის შემდეგ ოხუნჯობდა მიმა.

ექვსი თვის შემდეგ მიმამ შეძლო მშობლების მასთან გადმოყვანა. დაიქირავე ბინა ქალაქ თურქისტანში და ახალ 1950 წელთან ერთად მშობლებსაც ელოდა.

ჩამოვდნენ მშობლები, განაწამებია, ქანცამოლეულები... როდის და რანაირად დაშორდნენ ერთმანეთს და როგორნი შეხვდნენ აქ... ანთებული თვალები და მწუხარე დიმილი ამბობდა ყველაფერს. დილით მიმა სამუშაოზე წავიდა 20-22 წლის ყმაწვილი კაცი იყო ახლა ოჯახის მარჩენალი.

კირა? გადასახლებულთაგან დებულ-ობდა დეკემბის. იგი რუკაზე აღნიშნავდა, ვინ, სად, როდის, რომელ ქალაქს გადიოდა და როცა ისინი მოეწყვნენ, ქალიშვილმა დაიწყო სახლიდან ავეჯის გაყვდა. ფულს კი მშობლებსა და ძმას უგზავნიდა. “სამჯერ გავვიდე “ბეკერის” პიანინო და სამივეჯერ გრიშამ იყიდა”. – ათეული წლების შემდეგ იხსენებდა კირა (გრიშა ესაიანი მეგობარი და მეუღლე იყო კირა სიტმალიდის).

ვაზახეთის რესპუბლიკის ქალაქ თურქისტანში დიდხანს ვერ გაძლო ბატონმა ანესტომ. ცხოვრება უკანასკნელ “დღესასწაულს” უმზადებდა სამტრედიელ პურისმცხობელს. ეს იყო სიცოცხლესთან გამოთხოვება. გასაჭირში დაბადებული მე-

ზობლობა, მეგობრობა კი გრძელდებოდა. “ნათლია, ცივი და აწყარა წყალი მიირთვით!” – სიცოცხლის ბოლო დღემდე წყალს არ აკლებდა მელინა ელენი.

ქალბატონი პართენა მეუღლის სათუშაღს არ შორდებოდა. ბატონი ანესტი ასწრებდა ფიქრით ემოგზაურა მეორე სამშობლოს კუთხე-კუნჭულში. რა? ნოსტალგიამ შეიპყრო? ნოსტალგია ხომ ცხოვრების სასწაულია! დახა, ბატონმა ანესტიმ მოინდომა, წუთით დაებრუნებინა წარსული. მელინას მოტანილი დოკით წყალი იქვე იდგა, მისწვდა და მოსვა. მისი ენის ჭა გაახსენდა. ჭასთან მუხობლები ხშირად იყრიდნენ თავს. გონების თვალთ გადაავლო მიქამეებს, ჟორჟოლიანებს, ბალანჩივაძეებს, რევიშვილებს და აღმოხდა “პერეთი”, რაც ელიზურ ენაზე ნიშნავს “გაიხარეთ!”.

პართენა მიუხედა წუხილს. ამ ქალს შეუძლო ისეთი სახე მიეღო, იმედინი მზერიითაც მიეწიდა. რომ... სანტელ-სამტრედიელი წვეილი ვაზახეთის მიწაზე ერთმანეთს უკანასკნელად უცქერდა თვალებში.

“ქორა ტბილისისის” მამა გარდაიცვალა. სამწუხარო ამბავი მალე გაუცვლდა ქალაქში. ბიჭებმა მიშას ტკივილი, მამის გარდაცვალების გამო გაიზარეს და გვერდით ამოუდგნენ ისე, როგორც მხოლოდ საქართველოში იციან. ქალაქს მსგავსი ხალხმრავლობა მანამდე არ ენახა. ყვაილები, ანთებული ხანილები ამ-

შენებდა პატარა ეკლესიას, სადაც უკანასკნელად “შევიდა იძინეთ”, უთხრეს ახლობლებმა ბატონ ანესტის.

საქართველოში კირამ დაიტირა მამა...

1959 წელს რეაბილიტირებული პართენა მიშასთან ერთად დაბრუნდა სამტრედილაში. სიტმალიდების ოჯახს ანესტის შვილიშვილები იური და მარინა ესაიანები აცოცხლებდნენ. ბებიაშვილები გულში ჩაიყრა. მონატრებული და-ძმა დიდხანს ეხვეოდნენ ერთმანეთს. მუხობლებმა სიტბო და კრძალვა აგრძობინეს გადნასახლებ ოჯახს.

გავიდა ხანი. მიშა სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ დედასთან ხშირად საუბრობდა ნაცნობებსა და ახლობლებზე. “გახსოვს ის კაცი, პოლიციისაში რომ შეგხვდა, წელში მოიყვია, ხელზე გაკოცა და გითხრა: ანესტი იქ როგორ დატოვე?”.

მიშა, მამის გარდაცვალებიდან ოცდახუთი წლის შემდეგ, ვაზახეთში ჩავიდა. ბიჭებმა იცნეს “ქორა ტბილისისი”, თავი მოიყარეს და ანესტის საფლავზე მივიდნენ. შევიდა მამას, პატარა ანესტის, იანისა და ალექსის განენა მიულოცა.

1981 წლის 4 ივნისს, ანესტის პირველი შვილიშვილის, იური ესაიანისა და როზა ვეკუას ქორწინების წინა დღეს ქალბატონი პართენა გარდაიცვალა. წლებით დამძიმებული ბებია სიცოცხლის ბოლო წუთამდე ითხოვდა ქორწილს ნუ გა-

დადებო. ეს უკანასკნელი თხოვნა შევლემბა დედას ვერ შეუსრულეს. ტიროდა ყველა, ტიროდნენ ენოში ერთმანეთს ჩახუტებული პატარა ბიჭებიც, ასი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ბატონი ანესტი და ქალბატონი პართენა პატარა გოგონათი მოადგნენ საქართველოს საზღვრებს.

ბატონი ანესტის და ქალბატონი პართენას შვილიშვილები: მიხალი, ანასტასია და ანგელო სალონიკში იზრდებოდნენ. არიო სიტმალიდი კვიპროსში ცხოვრობს. კირას შვილიშვილები: ელიზავეტა დოლიძე და ანასტასია დანელია თბილისელები არიან. პატარა იოანი ესაიანი კი სამტრედილაში დაბაკუნობს.

ტოლსტოის ქუჩის №14-ში ისევ ცხოვრობენ ბერძნები. სახლიც უახლოვდება საუკუნეს და მისი მფლობელიც – ბატონი მიშა სიტმალიდი 89 წლისაა, კირა 17 წელია, რაც გარდაიცვალა. სამტრედილა იყო მისი საყვარელი ქალაქი და 75 წლის ასაკში მეუღლესთან, გროშა ესაიანთან ერთად განისვენებს აქ.

პური? პური სამტრედილაში მრავალი დასახლების ცხეება, ქართული შოთი, პური ბერძნული, პური...

თუ აკეთებთ საყვარელ საქმეს ბედნიერებაა, პურს აცხობ, პუდაგოვი ხარ თუ მკურნალი ექიმი.

**სპეციალური სანდოკოლეტი
ბიბილა სიბაგაიძე**

ჭადრაკი

სამბრელილმა მოჭადრაკეებმა ააჯიარადაც გვასახელეს

ჭადრაკის სამყაროში კარგადაა ცნობილი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატის, ჭადრაკში ეროვნული ოსტატის, ზესტაფონის ჭადრაკის კლუბის ყოფილი დირექტორის, ჯემალ მახათაძის სახელი.

ამ დღეებში ზესტაფონში ჩატარდა ბატონი ჯემალის სახელობის მემორიალური ღია ტურნირი, სადაც ასამდე სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა.

მათ შორის გახლდათ ბატონი ჯემალის მეგობარი, ჩვენი რაიონის მკვიდრი, ეროვნული ოსტატი ჭადრაკში, ბატონი მერაბ არჩვაძე, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა და შესაბამისი ჯილდოც მას ერგო.


“ზესტაფონის ჭადრაკის ფედერაცია აჯილდოვებს ეროვნულ ოსტატს მერაბ არჩვაძეს ჯემალ მახათაძის მემორიალურ ღია ტურნირში მონაწილეობისა და პირველი ადგილის დაკავებისათვის”. – ვკითხულობთ დიპლომში, რომელსაც ხელს ზესტაფონის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი, ბატონი აბესაძე ასწერს.

მემორიალის ფარგლებში გაიმართა როგორც ღია, ასევე დახურული ტურნირი. დახურულ ტურნირში მონაწილეობდნენ მსოფლიოს ჩემპიონი მერი არაბიძე, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი, საერთაშორისო დიდოსტატი გია გიორგაძე, იმერეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი ზაზა ლომინაძე და სხვები.

როგორც შარშან, წელსაც მერი არაბიძემ დახურულ ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა და მეორედ დაეუფლა გარდამავალ თასს.

აღსანიშნავია, რომ ტურნირში მონაწილეობდნენ ჩვენი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, საბა არაბიძე და ბესო ლუგავა, რომლებიც შესაბამისად მეექვსე და მეშვიდე ადგილებს დასჯერდნენ. ტურნირის მეტ ელფერს სძენდა ის ფაქტი, რომ მას ესწრებოდნენ აღიარებული მოჭადრაკე ნანა იოსელიანი, რომელმაც ერთდროული სეანსები ჩატარა და გია გიორგაძე – საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი. – აღნიშნა “სამტრედიის მაცნესთან” საუბარში მერაბ არჩვაძემ.

მისასალმებელია, რომ ჭარბად მოჭადრაკე, ბატონი მერაბ არჩვაძე, კვლავ მწყობრშია და აქტიურადაა ჩართული საჭადრაკო ცხოვრებაში. წარმატებებს ვუსურვებთ მას!



მერაბ არჩვაძე მერი და საბა არაბიძეებთან

ლევან ბაბუნაძე



ანა აბზიანიძეს!

ტკბილი ბგერა მოგვესმა და შენს სახელთან მივედი, ერთად სცენას ალაპარაკებთ შენ და შენი “იმედი”.

ამიტომაც მოვიჩქარეთ, თქვენს კონცერტებს დავესწროთ, რომ იცოდეთ, ახლა შენ ხარ ამ ქალაქის “მანსტრო”!



განცხადება

კერძო ბაღი “დივა” იწყებს ფუნქციონირებას. საბავშვო ბაღი იმუშავებს ყოველდღე შაბათის ჩათვლით. მშობელთა სურვილისა და მოთხოვნის შემთხვევაში – კვირასაც.

აღსაზრდელო ასაკი 2-7 წლამდე. სააღმზრდელო პროცესში ჩართულები არიან კვალ-ფიციური პედაგოგები. კერძო ბაღ “დივაში” პატარებს შეასწავლიან ხელოვნებას, ჭადრაკს, უცხო ენას.

საბუთების მიღება დაიწყო 20 აპრილის და გაგრძელდება 15 სექტემბრამდე. სააღმზრდელო პროცესი დაიწყება 1-ლ სექტემბერს დილის 9 საათიდან 19 საათამდე.

მისამართი: ქ. სამტრედია, ნინოშვილის ქუჩა №43. ტელ.: 577 50 96 50; 599 57 23 41.

ფულოცავთ!

ქეთევან ჭელიძეს!


დიდსულოვანი და კეთილშობილი ქალბატონი დაბადებულს ჩვენს გვერდით და მუდამ მზადაა, სხვისთვის დაიხარჯოს, სხვისი ტკივილი და სიხარული გაითავისოს. ქეთევან ჭელიძე – არაჩვეულებრივი მეუღლე და დედა, თავისი საქმის პროფესიონალი, ძვირფასი მეგობარი იუბილარია. ვულოცავთ და ვუსურვებთ უღებ სიყვარულს, სიხარულს და ბედნიერებას, წარმატებებს თავის საყვარელ საქმიანობაში. იგი უსახელო უფლისციხეებით ღვას კადრს მიღმა, მაგრამ მაინც საცნაურია ქეთევან ჭელიძის კვალი და ხელწერა თანაქალაქელებისთვის. უფალი იყოს მისი მფარველი!



ამაზაზუ ჩინგაძე

ჩვენი უდალატო მეგობარი, ერთგული და საამაყო, დიდი სიყვარულით გილოცავთ კიდევ ერთი წლის შემატებას. წლისას, რომელმაც მხოლოდ სიხარული გვინდა მოგიტანოს, ქმარ-შვილის კარგად ყოფნა, ზვაგი-ბარაქა, წარმატება პროფესიულ საქმიანობაში. გვინდა, ოჯახური ბედნიერება არც მომავალში მოგაკლოს უფალმა.

ლევან უსულოლ ვეჯაჯაძე მემორიალი ნათიას ბაღში, 6060 ნაწილაკში



მეღვა ჭკალუა-გოზიას!

ქალბატონო მეღვა, კეთილი სურვილებით გილოცავთ დაბადების დღეს, მრავალს დაეწარით. გაიხარეთ თქვენს საყვარელ ოჯახთან და ახლობელ ადამიანებთან ერთად.

“სამბრელილის მაცნეს” რედაქცია

ლუკა ლევიძეს!

დაბადების დღეს გილოცავთ ჩვენი ლუკა, სიხარული და ბედნიერება გქონოდეს. უფალი გმეგზურობდეს.

“სამბრელილის მაცნე”



ლოლა დახუნდარიძეს!

ჩვენი ქალაქისა და შპს “არგოს” კოლორიტ ქალბატონს, ლოლა დახუნდარიძეს დიდი სიყვარულით ვულოცავთ დაბადების დღეს, განსაკუთრებულ თარიღს, 80 წლის შესრულებას. უფალმა მხნეობა, სულისა და სხეულის სიჯანსაღე კვლავაც შეუნარჩუნოს, 20 წლის შემდეგ 1 საუკუნის შესრულება მასთან ერთად გვეხეიძოს.

6060 ნაწილაკში



სამსახურში, ჯუსთაშვილის №23- ში, აიკვამ სავაჭრო, გაიხსნა სილაგაზის სალონი “LENU” ამ გაყოცლილი სტილისტური მომსახურებით.

ტელ: 555-33 37 97



რედაქციის მისამართი: სამბრელია, რუსუბლიკის ქ. №6 ტელ: 790 391839



დირექტორი ბეჟან გოზია მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე გამომშვები რედაქტორი თამაზ ბაბუნაშვილი პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაბუნაშვილი კომპიუტერული უზრუნველყოფა მამა პაპაძე